პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 36-ე წელი № 285 (10371) | შაბათი, 3 დეკემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

ავამაღლოთ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონე

უკანასკნელ ორ წელიწადში კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მიიღეს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი.

ამ ღონისძიებათა განხორციელებამ უკვე მოგვცა პირველი დადებითი შედეგები. ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა მთლიანად აღმოჩდა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე. უკანასკნელ ორ წელიწადში ნათესი ფართობი ჩვენს ქვეყანაში გადიდდა 28 მილიონი ჰექტარით. მნიშვნელოვნად გადიდდა მარცვლეული კულტურების, მათ შორის ხორბლის ფართობები. დიდი მუშაობა განხორციელდა სიმინდის ნათესების დანერგვისათვის. გაიზარდა შაქრის ჭარხლის, სახამებლის ყალის, ბამბის, კარტოფილის, ბოსტნეულის ნათესი ფართობები. მთელ რიგ ოლქებსა და მხარეებში გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. გარკვეული ძვრებია საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში. წელს დამზადებულია მეტი მარცვლეული, რძე, ხორცი, ფრინველი, კვერცხი, მატყლი, ვიდრე შარშან.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებანი ჯერ კიდევ საკმაო არ არის. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა საბჭოთა ხალხის ღონისძიებებს მიმართავენ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის სახარბიელოდ. პარტიულ კონფერენციებზე, რომლებიც ახლა მიმდინარეობს, დელეგატები აღნიშნავენ, რომ უკვე წელს შეიძლებოდა გაცილებით უკეთესი შედეგების მიღწევა, ყველა კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას რომ ეხელმძღვანელა კარგად, ისე, როგორც მუშაობენ მოწინავე მეურნეობები. მიმდინარე წლის შედეგები მოწმობენ, რომ ჯერ კიდევ ყველგან ხარულად როდი იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის.

თუ უკრაინის კოლმეურნეობებმა წელს წვლილობა საფურაჟე ძროხაზე მთლიანად რესპუბლიკაში 217 კილოგრამით გაადიდეს, სამაგიეროდ ბელორუსიის კოლმეურნეობებმა გაადიდეს მხოლოდ 56 კილოგრამით. რუსეთის ფედერაციაში მთლიანად წელს წველადობა გადიდდა 202 კილოგრამით, ამავე დროს ყაზახეთში, ჩკალოვის, კალინინგრადის ოლქებში და ჩუვაშეთის ას რესპუბლიკაში წველადობამ იკლო, კუიბიშევისა და პსკოვის ოლქებში კი წინანდელ დონეზე დარჩა.

შეიძლება მოვიყვანოთ ბევრი ასეთი მაგალითი არა მარტო მეცხოველეობის პროდუქტიულობის, არამედ აგრეთვე მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის დარგშიც. ბევრ რაიონში ჯერ კიდევ არიან კოლმეურნეობები, რომელთა ეკონომიკაში ამ ორი წლის მანძილზე არავითარი გაუმჯობესება არ მომხდარა.

რით აიხსნება, რომ ცალკეულ რესპუბლიკებს, მხარეებს, ოლქებს, რაიონებსა და კოლმეურნეობებს, რომლებიც დაახლოებით ერთნაირ პირობებში არიან და თანაბარი შესაძლებლობები მოეპოვებათ, მუშაობის სხვადასხვა შედეგი აქვთ? ეს შეიძლება აიხსნას უწინარეს ყოვლისა პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხრივ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის სხვადასხვა დონით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა თავის დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების შემდგომი აღმავლობისა და შესასრულებლად საჭიროა მნიშვნელოვნად ამაღლდეს პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხრივ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონე, უფრო კვალიფიციური, კონკრეტული და ოპერატიული გახდეს ეს ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელ მუშაკებს მოითხოვებოდათ დეტალურად სცოდნოდათ სასოფლო-სამეურნეო წარმოება. მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი საოლქო, სამხარეო კომიტეტი, ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და განსაკუთრებით პარტიის რაიკომები ყველებურად მუშაობას განაგრძობენ.

ავიღოთ, მაგალითისათვის, პარტიის კოსტრომის საოლქო კომიტეტი. როგორც ამას წითათ „პრავდა“ იუწყებოდა, პარტიის საოლქო კომიტეტი სოფლის მეურნეობას კვლავ ხელმძღვანელობს „საერთოდ“, არაკონკრეტულად, ანუ, რომ საქმე ღრმად არ იცის. საოლქო კომიტეტის მუშაკებს დღემდე არ უცდიათ ნამდვილად გარკვეულიყვნენ ადგილებზე ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმეებში.

მთელი რიგი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების საქმიანობაში სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დარგში ჯერ კიდევ ცოტაა კონკრეტულობა. პარტიის რაიკომებისა და მათი ინსტრუქტორთა ჯგუფების, რაიაღმასკომებისა და მტს-ების აპარატებში ფორმალურად ბევრი ადამიანია, რომლებიც მოვალენი არიან პასუხი აგონ კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, თვითეული ფერმგაგდის, მეცხოველეობის თვითეული ფერმის მდგომარეობისათვის. საქმით კი გამოდის, რომ ყველა როდი მუშაობს ჯეროვნად, ყველა როდი გამსჭვალულა სოფლის მეურნეობის მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობის გრძნობით.

პარტია და მთავრობა აღნიშნავენ, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი ზრდის დიდი და რთული ამოცანები დაბეჯითებით მოითხოვენ პარტიული და საბჭოთა ორგანოებისაგან, რომ მათ განაგრძონ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, უფრო კონკრეტული და ოპერატიული გახადონ იგი. კონკრეტულად ხელმძღვანელობა ნიშნავს ღრმად და საქმის ცოდნით ჩავწვდეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დეტალს, შევისწავლოთ მისი ეკონომიკა, ვიცნობდეთ ყოველივე ახალს, მოწინავეს და ვავრცელებდეთ საუკეთესო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილებას.

საჭიროა ავამაღლოთ ადგილებზე ორგანიზატორული მუშაობის დონე, უზრუნველყოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარების დასახულ ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელება. ადგილობრივი პარტიული ორგანოები მოვალენი არიან გააძლიერონ თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო მუშაობის რა უბანზეც უნდა იყოს იგი, კონკრეტული საქმეებით შეიფასონ მისი მუშაობა.

ამჟამად ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მთელი ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი გადაუდებელი ამოცანების გადაჭრას. უნდა უზრუნველყოთ მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დამთავრება, ხელმწიფოსათვის მემინდვრეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების ვალდებულებათა შესრულება. უკვე ახლა უნდა შევაჯამოთ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო საქმიანობის წინასწარი შედეგები. საჭიროა გამოვავლინოთ ამა თუ იმ კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ჩამორჩენის მიზეზები, დაბალი მოსავლიანობისა და მეცხოველეობის მცირე პროდუქტიულობის, მიმდინარე წლისათვის სასოფლო-სამეურნეო არტელების მიერ შედგენილი გეგმების შეუსრულებლობის მიზეზები. საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა არ დავუშვათ ამგვარ ნაკლოვანებათა გამეორება მომავალ წელს და შესრულებული მუშაობის გაკვეთილებით უზრუნველყოთ სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობა, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება.

უკრაინის პარტიული და საბჭოთა მუშაკების ამასწინანდელმა თათბირმა ყოველმხრივ განიხილა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წინასწარი შედეგები რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მომავალ წელს უზვი მოსავლის მოყვანისა და პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის. თათბირის მონაწილეებმა თავიანთი ყურადღება მიაპყრეს გადაუჭრელ საკითხებს, სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გადაუდებელი ამოცანების შესრულებას.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება დიდად არის დამოკიდებული საგაზაფხულო თესვისათვის დროულ მომზადებაზე და პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებაზე. ამოცანა ის არის, რომ დროზე შევაკეთოთ მანქანა-ტრაქტორთა პარკი და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, მთლიანად მოვამზადოთ თესლი და შევამოწმოთ მისი აღმოცენების უნარი, დავამზადოთ და გავიტანოთ ადგილობრივი და მინერალური სასუქები. ზამთრის პერიოდში უნდა მოეწყოს ბრიგადირების, მერგოლურების, ფერმების გამგეების, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების აგრო-ზოოტექნიკური სწავლება.

ამ ბოლო დროს პარტიამ და მთავრობამ დიდი მუშაობა გასწიეს ხელმძღვანელი კადრებთან მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების განსამტკიცებლად. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მოვალეობაა მიიღონ ახლა ღონისძიებანი, რათა შეინარჩუნონ ეს კადრები სამუშაოზე, შეუქმნან მათ სათანადო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, გულისხმიერად მოეპყრონ სოფლის მეურნეობაში ცოტა ხნის წინათ მოსულ მუშაკებს, გამოიჩინონ მათდამი ყურადღება და მზრუნველობა. მუშაკებს, რომლებსაც არა აქვთ საკმაო გამოცდილება სოფლის მეურნეობაში, უნდა გავუსწოროთ და ვასწავლოთ კონკრეტული მაგალითებთან. არ შეიძლება დავუშვათ სოფლის მეურნეობაში ხელმძღვანელ მუშაკთა მასობრივი შეცვლა.

სოფლის მეურნეობის განვითარების ამოცანების წარმატებით გადაჭრის უმნიშვნელოვანესი პირობაა პარტიული ორგანიზაციების მთელი პარტიულ-პოლიტიკური, იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, მისი მჭიდრო კავშირი კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, გარკვეული პრაქტიკულ ამოცანებთან. თვითეული კომუნისტი და განსაკუთრებით ხელმძღვანელი მოვალეა ახსოვდეს, რომ ჩვენი იდეოლოგიური მუშაობა მიმართული უნდა იყოს მატერიალური დოვლათის გადიდებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სიუხვის შექმნისათვის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის ბრძოლისაკენ.

პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი ეგებებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას. ყველგან ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ყრილობის აღსანიშნავად. პარტიულმა კონფერენციებმა, რომლებიც ახლა მიმდინარეობს, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღება უნდა მიაპყრონ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და განმტკიცების პრაქტიკულ საკითხებს, ხელი შეუწყონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას.

„პრავდის“ 2/XII მოწინავე.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნას სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია 1955 წლის 23 დეკემბერს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 2 დეკემბერი.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ინდოეთში

კალკუტა, 30 ნოემბერი. (საკდესი). დღეს საღამოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი დაესწრნენ უდაისა და ამალ შანკარის დასის აჩრდილთა თეატრის სპექტაკლს.

საბჭოთა კავშირის მხრივ კონცერტს დაესწრნენ ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის თანმხლები პირები, ინდოეთის მხრივ — ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ, დასავლეთ ბენგალიის შტატის მთავარი მინისტრი ბ. ჩ. როი, დასავლეთ ბენგალიის შტატის მთავრობის წევრები და სხვა ოფიციალური პირები.

აჩრდილთა თეატრი ბენგალიის სახალხო თეატრია. იქ თამაშობენ მსახიობები. მაგრამ დიდ ეკრანზე მოჩანს მხოლოდ მათი გადიდებული თუ შემცირებული სილუეტები, რაც თავისებურ სანახაობას ქმნის.

აჩვენეს დრამა „რამლილა“ ინდური ეპოსის „რამაიანას“ მოტივებზე.

სპექტაკლის შემდეგ ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი მთელი დარბაზის ტაშის გრიალში სცენაზე ავიდნენ, მსახიობებს მადლობა გადაუხადეს საინტერესო წარმოდგენისათვის და ყვავილების თაიგულები უძღვნეს მათ.

* * *

დღეს საღამოს დასავლეთ ბენგალიის შტატის გუბერნატორმა მუკერჯიმ ვახშამი გამართა კალკუტაში მყოფთა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად.

ვახშამზე საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ინდოეთში მოგზაურობისას თანმხლები პირები.

მასპინძელთა მხრივ ვახშამზე იყვნენ ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ, დასავლეთ ბენგალიის შტატის მთავარი მინისტრი ბ. ჩ. როი, დასავლეთ ბენგალიის მთავრობის წევრები და სხვა ოფიციალური პირები. ვახშამზე წარმოთქმულ იქნა სადღეგრძელოები.

ბ. ჩ. როიმ წარმოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის სადღეგრძელო. საპასუხოდ ნ. ა. ბულგანინმა წარმოთქვა ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რაჯენდრა პრასადის სადღეგრძელო.

ორკესტრმა შეასრულა სსრ კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. ბ. ჩ. როიმ წარმოთქვა სტუმრების ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის სადღეგრძელო.

პასუხად ნ. ა. ბულგანინმა წარმოთქვა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯ. ნერუს, დასავლეთ ბენგალიის შტატის გუბერნატორის მუკერჯისა და დასავლეთ ბენგალიის შტატის მთავარი მინისტრის ბ. ჩ. როის სადღეგრძელო.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი კალკუტიდან გაემგზავრნენ

კალკუტა, 1 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დილით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი კალკუტიდან გაემგზავრნენ ბირმის დედაქალაქ რანგუნში. მათთან ერთად გაემგზავრნენ მათი თანმხლები პირები: არმიის გენერალი ი. ა. სეროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დ. რ. რასულოვი, უზბეკეთის სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ზ. რახიმბაბაევა.

აეროდრომზე ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი გააცილეს: ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ნერუმ, დასავლეთ ბენგალიის შტატის გუბერნატორმა მუკერჯიმ, დასავლეთ ბენგალიის შტატის მთავარმა მინისტრმა ბ. ჩ. როიმ, შტატის მთავრობის წევრებმა, ინდოეთის ელჩმა სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონმა, კონსულთა კორპუსის წევრებმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი გააცილეს აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა ინდოეთში მ. ა. მენშიკოვმა, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ შ. რაშიდოვმა, სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ნ. ა. მიხაილოვმა და კალკუტაში საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლებმა.

აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა სსრ კავშირისა და ინდოეთის სახელმწიფო ჰიმნები.

მიუხედავად იმისა, რომ ადრე დილა იყო, კალკუტის ასეულათასობით მცხოვრები შეიკრიბა მთელ გზაში დასავლეთ ბენგალიის მთავრობის რეზიდენციიდან აეროდრომამდე და გულთბილად გააცილა ძვირფასი საბჭოთა სტუმრები — ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ბირმაში ჩავიდნენ

რანგუნი, 1 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). 13 საათზე თვითმფრინავი, რომელმაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი კალკუტიდან ბირმაში ჩამოიყვანა, დაეშვა მინგალადონის აეროდრომზე, რანგუნიდან 20 კილომეტრზე. ბირმის საზღვრიდან რანგუნამდე თვითმფრინავს ახლდა ბირმის საბჭედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავების საპატიო ესკორტი. სსრ კავშირისა და ბირმის კავშირის ალმებით მორთულ აეროდრომზე შეიკრიბნენ ბირმის მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრის უ ნუს მეთაურობით, ხელისუფალთა, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსის წევრები და რანგუნის მოქალაქეთა რამდენიმე ათასი წარმომადგენელი.

თვითმფრინავზე ადის სსრ კავშირის ელჩი ბირმაში ა. დ. შჩიბორინი. ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი, რომლებსაც შეკრებილნი ტაშით შეხვდნენ, გამოდიან თვითმფრინავიდან. მათ მიესალმნენ პრემიერ-მინისტრი უ ნუ, საგარეო საქმეთა მინისტრი საო კუნ ჩო, თავდაცვის მინისტრი უ ბა სვე და მრეწველობის მინისტრი უ ჯო ნეინი.

ბირმელმა ქალიშვილებმა სტუმრებს მიართვეს ტრადიციული ყვავილის გირლანდები. გრიალებს მისასალმებელი სალუტის 19 საარტილერიო ზალპი. წარუდგინეს რა თანმხლები პირები პრემიერ-მინისტრ უ ნუს, ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა უ ნუსთან ერთად ჩამოუარეს საპატიო ყარაულის ფრონტს. სამხედრო ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირისა და ბირმის ჰიმნებს. პრემიერ-მინისტრი უ ნუ მიდის მიკროფონთან.

პრემიერ-მინისტრ უ ნუს განცხადება

ბატონო პრემიერ-მინისტრო, ამხანაგო ხრუშჩოვ, მეგობრებო!

ბირმის კავშირის მთავრობისა და ხალხის სახელით და პირადად ჩემი საკუთარი სახელით ნება მიბოძეთ მხურვალედ მივესალმო თქვენს აღმატებულებას ჩვენს ქვეყანაში. ჩემს მეხსიერებაში ცოცხალია მოგონება თქვენს დიდ და სტუმართმოყვარე ქვეყანაში ჩემი უაღრესად სასიამოვნო ყოფნის შესახებ. ნება მიბოძეთ ვისარგებლო შესაძლებლობით, რათა ასეთივე სტუმართმოყვარეობით მივუზღო თქვენს აღმატებულებას. საბჭოთა კავშირის როგორც ხელმძღვანელები, ისე მთელი ხალხი ყველგან გვხვდებოდნენ როგორც ძვირფას ნათესავებს, და გთხოვთ, თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, და პატივცემულ სტუმრებს თავს გრძნობდეთ ისე, როგორც შინ, ჩვენს ქვეყანაში თქვენი ხანმოკლე ყოფნის დროს. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ბირმის ხელმძღვანელებსა და ხალხს უყვარხართ არა მარტო როგორც უბრალო მეგობრები და კეთილმოსურნენი, არამედ როგორც ძვირფასი ნათესავებიც.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ბირმის მეგობრობას! (მქუხარე ტაში).

* * *

საპასუხო განცხადება გააკეთა ნ. ა. ბულგანინმა

ნ. ა. ბულგანინის განცხადება

ბატონო პრემიერ-მინისტრო, ძვირფასო მეგობრებო, ბატონებო!

დღეს, ბირმის კავშირის დედაქალაქ რანგუნში ჩვენი ჩამოსვლის დღეს, ჩვენ საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა ხალხის სახელით გადმოგცემთ მისალმებასა და საუკეთესო სურვილებს თქვენ, მთავრობას და სახელოვან ბირმელ ხალხს.

საბჭოთა კავშირი და ბირმა მრავალი ათასი კილომეტრით არიან დაშორებული ერთმანეთს. მაგრამ არსებობს ძალა, რომელიც ანგარიშს არ უწევს ისეთ დაბრკოლებას, როგორიც არის შორი მანძილი. ეს ძალაა საბჭოთა და ბირმელი ხალხების ურთიერთ მისწრაფება ორივე ქვეყნის სრული ურთიერთგაგების დამყარებისადმი, მათ შორის მეგობრობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განმტკიცებისა და განვითარებისადმი საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების საკეთილდღეოდ.

რამდენიმე ხნის წინათ ბირმის პატივცემული პრემიერ-მინისტრი უ ნუ იყო საბჭოთა კავშირში და შესაძლებლობა ჰქონდა გასცნობოდა სსრ კავშირის ხალხთა ცხოვრებას, საბჭოთა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის მიღწევებს. მის ვიზიტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმისათვის.

ჩვენ დიდი კმაყოფილებით და მადლობით მივიღეთ პრემიერ-მინისტრ უ ნუს მოწვევა ჩამოვსულიყავით ბირმაში. ბირმის მთავრობის წვლილი აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვისა და განმტკიცების საქმეში, ისევე როგორც ბირმის ხალხების ღონისძიებანი, რომელთა მიზანია თავისი სამშობლოს ეკონომიური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, საბჭოთა ხალხის მხურვალე სიმპათიას და დიდ ინტერესს იწვევენ.

ჩვენ გვინდა უკეთ გავიგოთ, თუ როგორ ცხოვრობს და შრომობს ბირმის ხალხი, რომელმაც კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლით მოიპოვა თავისი დამოუკიდებლობა.

რწმენას გამოვთქვამთ, რომ ჩვენი ვიზიტი ბირმაში, ჩვენი გაცნობა ბირმელ ხალხთან, მის უძველეს კულტურასთან და მის წარმატებებთან ბირმის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნების მთავრობებისა და ხალხების ურთიერთგაგების შემდგომ განვითარებას, მათი მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ბირმის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას! (მქუხარე ტაში).

* * *

ბირმელმა ბავშვებმა სტუმრებს ყვავილები მიართვეს. პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ ჩამოსულთ წარუდგინა ეროვნებათა პალატის და დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეები, მთავრობის მინისტრები, მთავარი მოსამართლე და უმაღლესი სასამართლოს წევრები, შეიარაღებული ძალების სარდალი, სახელმწიფო დაწესებულებათა მაღალი თანამდებობის მოხელეები და რანგუნის მერი. ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი შემდეგ მიესალმნენ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებს, რომლებიც რანგუნში არიან აკრედიტებულნი, და ბირმაში სსრ კავშირის საელჩოს თანამშრომლებს.

სტუმრები მიდიან მრავალრიცხოვან დამხვდურებთან და უპასუხებენ მათს მისალმებაზე. უღრუბლო მზიან დღეში მკაფიოდ მოჩანს მრავალფეროვანი ლამაზი ეროვნული ტანსაცმელი ბირმელებისა — მამაკაცებისა და ქალებისა, რომლებიც აქ შეიკრიბნენ სტუმრების შესახვედრად.

მანქანები აეროდრომიდან ქალაქში მიდიან. პირველ ღია მანქანაში ნ. ა. ბულგანინთან და ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად არის პრემიერ-მინისტრი უ ნუ. რანგუნის მცხოვრებლებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყეს სტუმრებს. მათი გზა მორთულია საბჭოთა კავშირის ალმებით, ბირმის წითელი ალმებით, რომლებზეც ექვსი თეთრი ვარსკვლავია ლურჯ ფონზე. ბევრ ადგილას დადგმულია თაღები და გაჭიმულია ტილოები მისასალმებელი ლოზუნგებით ბირმულ და რუსულ ენებზე: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ბირმის მეგობრობას!“, „გულითადი სალამი პრემიერ-მინისტრ ბულგანინს! გულითადი სალამი ამხანაგ ხრუშჩოვს!“.

აეროდრომიდან მიმავალი გზის გაყოლებით შეიკრიბნენ რანგუნის მოქალაქეთა დიდი მასები, რომლებიც მოვიდნენ საბჭოთა სტუმრების შესახვედრად ყვავილებითა და ალმებით. ყველგან გაისმის მუსიკა, მისალმების შეძახილები. რაც უფრო უახლოვდებიან ქალაქის ცენტრს, მით უფრო მეტია შემხვედრი, რომლებიც გზის ორივე მხარეზე დგანან. ბევრ ბირმელს ხელში უჭირავს პლაკატები: „გაუმარჯოს ხალხთა მშვიდობიან თანაარსებობას! გაუმარჯოს მშვიდობისათვის მებრძოლებს ხრუშჩოვს, ბულგანინსა და უ ნუს!“

დღეს რანგუნში საღღესასწაულო დღეა. საბჭოთა სტუმრების ჩამოსვლის გამო დაკიტულია ყველა მაღაზია და დაწესებულება. რანგუნელები ყვავილებითა და მისალმების შეძახილებით ხვდებოდნენ ამხანაგებს ბულგანინსა და ხრუშჩოვს მთელ გზაზე მათთვის გამოყოფილ რეზიდენციამდე პრეზიდენტის სასახლეში.

დარბაზობა რანგუნის მუნიციპალიტეტში

რანგუნი, 1 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). 17 საათზე რანგუნის მერმა უ სეინ პემ მუნიციპალიტეტის დარბაზში ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად „სამოქალაქო დარბაზობა“ მოაწყო. დარბაზობაზე იყვნენ მთავრობის წევრები, პარლამენტის ორივე პალატის თავმჯდომარეები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, რანგუნის ცნობილი მოქალაქეები.

სსრ კავშირისა და ბირმის კავშირის ჰიმნების შესრულების შემდეგ ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა და მათმა თანმხლებმა პირებმა ადგილები დაიკავეს ტრიბუნაზე. მათთან ერთად ტრიბუნაზე იყვნენ პრემიერ-მინისტრი უ ნუ და მერი უ სეინ პე.

დარბაზობა გახსნა რანგუნის მერმა, რომელმაც მისასალმებელი ადრესით მიმართა სტუმრებს.

რანგუნის მერის მისასალმებელი ადრესი

თქვენო აღმატებულებავ!

განსაკუთრებულ პატივად მიმაჩნია მოგესალმოთ რანგუნის მუნიციპალიტეტისა და მოქალაქეთა სახელით. ამ ქალაქის სახელწოდება პირდაპირი თარგმანით ნიშნავს „მტრობის დასასრულს“ და წარმოადგენს მშვიდობისადმი ბირმელი ხალხის მისწრაფების სიმბოლოს. ქალაქის ისტორია აღნიშნულია როგორც დიდების, ისე ტანჯვის ნიშანსვეტებით, მაგრამ მისი არსებობის მთელი წლების მანძილზე თვალსაჩინო მოვლენა იყო ის ფაქტი, რომ 1948 წლის 4 იანვარს იგი გახდა თავისუფალი, დამოუკიდებელი და სუვერენული რესპუბლიკის დედაქალაქი. ჩვენი სტატუსის დიდმნიშვნელოვანმა ცვლილებამ შესაძლებელი გახადა შეგხვდეთ თქვენ ისე, როგორც შეუძლია მხოლოდ თავისუფალ და ბედნიერ ხალხს.

ჩვენს დროში არც ერთი ქვეყანა არ რჩება იზოლირებული. არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია დარჩეს იმისადმი გულგრილი, რაც დედამიწის სხვა ნაწილებში ხდება. ისტორიაში ჯერ არასოდეს ასე სასიცოცხლოდ საჭირო არ ყოფილა თანაარსებობისა და თანამშრომლობის მოთხოვნილება. კაცობრიობის ერთობამ უნდა წარმოშვას ძმობის სულისკვეთება ხალხთა შორის, და საჭიროა, რომ ამ სულისკვეთებამ ნიადაგი და მხარდაჭერა ჰპოვოს, რათა ხალხებს გზაზე კვლავ არ გადაეღობოს გაუგებლობა და მტრობა. და შესაძლებელია, რომ ძმობის სულისკვეთების განმტკიცების ყველაზე ქმედითი გზა იყოს ვიზიტების ეს გაცვლა, ისეთი ვიზიტებისა, როგორიც თქვენმა აღმატებულებამ ინებეთ.

არა მგონია საჭირო იყოს მოგახსენოთ, თუ რა დიდი პატივია ბირმელებისათვის, რომლებიც თქვენი დიდი ქვეყნისა და მისი ხალხის მეგობრები და კეთილმოსურნეები არიან, ეს ვიზიტი გამოჩენილი ლიდერებისა, რომლებმაც არა მარტო დიდებამდე მიიყვანეს თავიანთი ხალხი, არამედ შეძლეს თავიდან აეცილებინათ ომის გაჩაღება, რომელზე ფიქრი საშინელებას გვგვრის ჩვენ ყველას. დიდია თქვენი მიღწევები, და თუ ახლა, უნდობლობისა და წინააღმდეგობის შედეგად, რომლებიც, კიდევ სჭარბობს მსოფლიოში, თქვენი წვლილი მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესის საქმეში ჯერ კიდევ მთლიანად არ არის შეფასებული, რაც ხანი გავა, როცა სიმშვიდე დამყარდება და ურთიერთგაგება დამკვიდრდება, საბჭოთა ლიდერების სახელები უეჭველია ღირსეულ ადგილს დაიკავ

დარბაზობა რანგუნის მუნიციპალიტეტში

ნ. ა. ბულგანინის გამოსვლა

პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო! პატივცემულო ბატონო მერო! პატივცემულო ბატონებო! მეგობრებო!

ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა გულითადი მადლობა გადავუხადო ბირმის კავშირის მთავრობას და პირადად პრემიერ-მინისტრ უ ნუს თქვენს ძველ და სახელოვან ქვეყანაში მოწვევისათვის. ჩვენ დიდი კმაყოფილებით და მადლიერებით ვისარგებლეთ ამ თავაზიანი მოწვევით.

ნება მიბოძეთ აგრეთვე გადმოგცეთ თქვენ და მთელ ბირმელ ხალხს მეგობრული მხურვალე სალამი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხისაგან, რომელიც გამსჭვალულია ბირმელი ხალხისადმი გულწრფელი პატივისცემისა და უანგარო მეგობრობის გრძნობით.

თქვენმა ხალხმა გამოსცადა კოლონიური ბატონობის, უცხოეთის ინტერვენციისა და გამანადგურებელი ომის სიძნელენი. საბჭოთა ადამიანები, რომლებიც აღზრდილი არიან ერთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის დიადი ლენინური იდეებით, თანაგრძნობით ადევნებდნენ თვალყურს ბირმელი ხალხის გმირულ ბრძოლას თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და მოხარული იყვნენ, როცა ეს ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდა.

ამჟამად საბჭოთა კავშირისა და ბირმის ურთიერთობა დამყარებულია, როგორც ცნობილია, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემის, თავდაუსხმელობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის, მშვიდობიანი თანაარსებობისა და ეკონომიური თანამშრომლობის ურთიერთ პატივისცემის ურყევ პრინციპებზე. ეს პრინციპები, რომლებიც ფართოდ ცნობილი გახდა, ამას წინათ საქვეყნოდ დადასტურდა ბირმა-საბჭოთა კავშირის ერთობლივ განცხადებაში.

უკანასკნელ დროს ბირმისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა და საქმიანი ურთიერთობა სულ უფრო მეტად ვითარდება, რასაც მოწმობენ თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლობის საწყისებზე დადებული საბჭოთა კავშირ-ბირმის სავაჭრო შეთანხმებანი, კულტურული დელეგაციების გაცვლა, აგრეთვე ტექნიკური თანამშრომლობა.

ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში თანამშრომლობისა და ნდობის სულისკვეთების შემდგომი განვითარების დიდმნიშვნელოვანი პირობა გახდა ბირმის პრემიერ-მინისტრის უ ნუს გამგზავრება საბჭოთა კავშირში და მის მიერ საბჭოთა ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარის უშუალო გაცნობა.

ეროვნული თავისუფლებისა და ეკონომიური აღორძინების გზაზე დამდგარი თქვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება წარმოადგენს იმ უდიდეს ცვლილებათა ერთ-ერთ დადასტურებას, რომლებიც უკანასკნელ დროს აზიაში მოხდა.

აღმოსავლეთის ხალხებმა გაიღვიძეს აქტიური პოლიტიკური ცხოვრებისათვის. მათს ბრძოლას იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ უმაგალითო გასაქანი მიეცა. ჩვენს თვალწინ ხდება იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა. ზოგი ვინმე ცდილობს უგულებელყოს ეს ისტორიული ძვრები აზიაში, არ შეამჩნიოს ისინი, მაგრამ ეს ძვრები არსებობენ და უდიდეს გავლენას ახდენენ საერთაშორისო ცხოვრებაზე.

აზიის ქვეყნები, რომლებიც იბრძვიან თავიანთი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის, კოლონიალიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, გამოდიან როგორც ახალი მძლავრი ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობაში.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის ისტორიული კონფერენცია იყო საერთაშორისო საქმეებში აღმოსავლეთის მზარდი როლის საუკეთესო დადასტურება. სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძვლები, რომლებიც მიღებულია ამ კონფერენციაზე, საბჭოთა კავშირმა მიიღო როგორც არსებითი წვლილი ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში.

იმედი გვაქვს, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნების მომავალი მეორე კონფერენცია ახალ სერიოზულ წვლილს შეიტანს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში და ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას და ხალხთა შორის თანამშრომლობის განვითარებას. საბჭოთა ჯარები გამოყვანილ იქნენ ავსტრიიდან. ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთა დადებით შეფასებას ხვდება ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირს სამხედრო ბაზები არა აქვს უცხოეთის ტერიტორიებზე.

საბჭოთა კავშირმა კონსტრუქციული წინადადებანი შეიტანა განიარაღების საკითხზე, რომელიც თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. ჩვენი ღრმა რწმენით, ატომური და წყალბადის იარაღი უნდა აიკრძალოს, ხოლო ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღება მნიშვნელოვნად შემცირდეს. ამ ღონისძიებათა განხორციელებისადმი უნდა დაწესდეს ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლი. ჩვენ აგრეთვე მიგვაჩნია, რომ ევროპის თათბირის მონაწილე სახელმწიფოებმა შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების დაწყებასთან ერთად უნდა იკისრონ ვალდებულება პირველმა არ იხმარონ ატომგულის იარაღი.

ბირმელი ხალხი და მისი მთავრობა იმის მომხრენი არიან, რომ აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღი, შემცირდეს შეიარაღება. ეს სერიოზული წვლილია მშვიდობისა და ხალხთა შორის ნდობის დამყარების საქმეში.

ბირმის კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას მხურვალე სიმპათიით ეკიდება ჩვენი ხალხი, რომელიც დიდად აფასებს თქვენი მთავრობის ღონისძიებებს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ახლა თქვენი ხალხი ისწრაფვის გადალახოს კოლონიური წარსულისაგან მემკვიდრეობად დარჩენილი სიძნელეები, განამტკიცოს თავისი ქვეყნის ეკონომიკა და თავისი მრეწველობა. საბჭოთა კავშირის მთავრობისა და საბჭოთა ხალხის სახელით წარმატებებს გისურვებთ თქვენი ქვეყნის განვითარებისა და აყვავების გზაზე. ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული და საქმიანი ურთიერთობის გაფართოება შეესაბამება ორივე მხარის ინტერესებს.

აზიის ხალხთა სამართლიანი ბრძოლა თავიანთი ეროვნული განთავისუფლებისათვის საბჭოთა ხალხის დიდი თანაგრძნობითა და მორალური მხარდაჭერით სარგებლობს. თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე საბჭოთა მთავრობამ გადაჭრით დაგმო იმპერიალისტურ დამპყრობთა და კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკა და გააუქმა ყველა არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება, რომლებიც მეფის მთავრობამ აღმოსავლეთის ქვეყნებთან დადო.

ჩვენ მოვითხოვთ ყველა ხალხის — დიდი და პატარა ხალხების თანასწორობას.

თავის საგარეო პოლიტიკაში საბჭოთა მთავრობა განუწყვეტლივ ახორციელებს ლენინურ პრინციპს — სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემების მქონე სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს.

საბჭოთა კავშირი ახორციელებს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას, მშვიდობისათვის, ომისა და უცხოელთა ჩარევის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის პოლიტიკას. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ყველა საერთაშორისო პრობლემა მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით გადაიჭრას.

აზიის ხალხები აგრეთვე მშვიდობას ემხრობიან და აწარმოებენ ბრძოლას ომის საფრთხის წინააღმდეგ. ჩვენ დიდ კმაყოფილებას გვგვრის, რომ ამ კეთილშობილურ საქმეში საბჭოთა ხალხი და აზიის ბევრი ხალხი თანამოაზრე არიან და გამოდიან როგორც მოკავშირენი.

საბჭოთა კავშირმა დიდი ღონისძიებანი განახორციელა, რათა უზრუნველეყო ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის წარმატება, თათბირისა, რომელმაც დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში, სახელმწიფოთა ურთიერთობაში ნდობის აღდგენის საქმეში.

ახორციელებს რა მშვიდობის პოლიტიკას და ესწრაფვის რა მშვიდობის ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პრობლემის — განიარაღების პრობლემის გადაჭრას, საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება 640 ათასი კაცით შეამციროს თავისი შეიარაღებული ძალების რიცხვი.

მადლობას გიძღვნით, მეგობრებო, ჩვენი გულთბილი და გულითადი მიღებისათვის. ბირმაში ყოფნის დღეები ბევრ კარგ მოგონებას დატოვებს ჩვენს მეხსიერებაში.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ბირმის კავშირის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას! **(ტაში).**

განმტკიცდეს საბჭოთა კავშირ-ბირმის მეგობრობა ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, საყოველთაო მშვიდობის საკეთილდღეოდ! **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

* * *

ამხანაგები ბულგანინი და ხრუშჩოვი და პრემიერ-მინისტრი უ ნუ მაგრად ართმევენ ხელს ერთმანეთს. შემდეგ სიტყვას იღებს პრემიერ-მინისტრი უ ნუ.

უ ნ უ ს გ ა მ ო ს ვ ლ ა

დიდი სიამოვნებით ვუერთდები რანგუნის მერის სიტყვებს და გულითადად მივესალმები თქვენს აღმატებულებას. თქვენი ვიზიტით თქვენ ჭეშმარიტად უდიდეს პატივს სდებთ ბირმის კავშირის ხალხს, და მე ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენს ქვეყანაში თქვენი აღმატებულების ყოფნა სასიამოვნო იქნება სწორედ ისე, როგორც სასიამოვნო იყო ჩემი ამასწინანდელი ყოფნა თქვენს დიდ ქვეყანაში.

ბირმის კავშირის ხალხი ჩვენს ქვეყანაში თქვენს მოსვლას მოელოდა იმ დიდი მნიშვნელობის სრული შეგნებით, რომელიც ასეთ ვიზიტს აქვს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის და საბჭოთა კავშირ-ბირმის მეგობრობისათვის. ერთობლივმა განცხადებამ, რომელსაც თქვენ, ბატონო პრემიერ--მინისტრო, და მე მოვაწერეთ ხელი მოსკოვში 1955 წლის 3 ნოემბერს, უდიდესი ინტერესი გამოიწვია ჩვენი ქვეყნის ხალხებს შორის. იქ გამოხატულია ჩვენი ორი ხალხის საერთო მისწრაფება მშვიდობისა და საერთაშორისო ურთიერთგაგების საკითხებში.

ამ უკანასკნელ ხანს შესამჩნევად შენელდა საერთაშორისო დაძაბულობა და სულ უფრო მტკიცედ იკაფავს გზას ტენდენცია, რომ არსებული საერთაშორისო პრობლემები გადაიჭრას მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებმა ბირმის ხელმძღვანელებისა და ხალხის პატივისცემა მოიპოვეს იმ მამაცური ღონისძიებების შედეგად, რომლებითაც ისინი გაბედულად ქმნიან თავიანთ ახალ სამყაროს, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისინი კვლავაც ასევე ეფექტიანად იმოქმედებენ დაძაბულობის შესანელებლად და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დასაცავად.

ვერაფერი ვერ იქნება მშვიდობის ალტერნატივა, გარდა საყოველთაო ნგრევისა ატომური ომის შედეგად. მაგრამ ვინ დაეთანხმება ასეთ ალტერნატივას! ამიტომ კაცობრიობის მისწრაფება მშვიდობისადმი აბსოლუტურად კანონიერი და ბუნებრივია, და ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე წარსულში, ჩვენ იმის მოწმენი ვართ, რომ მტკიცდება ეს მისწრაფება მშვიდობისადმი. ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის დაცვის ერთადერთი გზაა მშვიდობიანი თანაარსებობის გზა, რომელსაც ჩვენი ორივე ხალხი დაადგა. მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს ახლა თანდათანობით მეტი ქვეყანა აღიარებს, რადგან მათი მიზანია უწინარეს ყოვლისა მშვიდობის განმტკიცება და ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარება. ჩვენს ქვეყანაში თქვენი ჩამოსვლა არა მარტო შექმნის ჩვენს ორ ქვეყანას შორის ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის განვითარების დიდ შესაძლებლობებს, არამედ მნიშვნელოვნადაც შეუწყობს ხელს მშვიდობის ზონის გაფართოებას.

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ბირმის მეგობრობას! **(მჭუხარე ტაში).**

* * *

ამით სამოქალაქო დარბაზობა დამთავრდა. დარბაზობის დამთავრების შემდეგ მუნიციპალიტეტის დარბაზში სტუმრებს უჩვენეს საკონცერტო პროგრამა, რომელშიც იყო ბირმის ეროვნული სიმღერები და ცეკვები.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ბირმაში

საღამო ბირმის კავშირის პრეზიდენტთან

რანგუნი, 2 დეკემბერი. **(საკადესის სპეც. კორ.).** 1 დეკემბერს საღამოს რანგუნში პრეზიდენტის სასახლეში ბირმის კავშირის პრეზიდენტმა ბა უმ სადილი გამართა ბირმაში სტუმრად მყოფი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ბირმაში მოგზაურობისას ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის თანმხლები პირები. ბირმის მხრივ იყვნენ ბირმის კავშირის მთავრობის ყველა წევრი პრემიერ-მინისტრ უ ნუს მეთაურობით, უმაღლესი სასამართლოს წევრები, ბირმის კავშირში შემავალ სახელმწიფოთა წარმომადგენლები.

სტუმრებს შორის იყვნენ სსრ კავშირის ელჩი ბირმაში ა. დ. შჩიბორინი და სხვა სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, აკრედიტებულნი რანგუნში.

სადილის დასასრულს ბირმის კავშირის პრეზიდენტმა ბა უმ წარმოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის სადღეგრძელო.

— მე, — თქვა პრეზიდენტმა, — უაღრესად გულწრფელად და გულითადად მივესალმები ჩვენს ქვეყანაში პრემიერ ბულგანინსა და ბ-ნ ხრუშჩოვს არა მარტო ჩემი სახელით, არამედ აგრეთვე ბირმის კავშირის მთავრობისა და ხალხის სახელით.

პრეზიდენტმა მადლობა უძღვნა სტუმრებსა და მათი მეშვეობით საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ხალხს შესანიშნავი, გულწრფელი და მხურვალე მიღებისათვის, რაც სსრ კავშირში გაუმართეს პრემიერ-მინისტრ უ ნუს, ქ-ნ ნუსა და მათ თანმხლებ პირებს.

— ასეთი მიღება სამუდამოდ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში, — განაგრძო პრეზიდენტმა. — და ახლა თქვენ საპასუხო ვიზიტი გაგვიკეთეთ, მიუხედავად იმისა, რომ დიდად მოუცლელი ხართ თქვენი მაღალი მდგომარეობის გამო. თქვენი ვიზიტი მოწმობს თქვენს კეთილ ნებასა და თქვენს მეგობრულ დამოკიდებულებას ჩვენდამი. მიზეზი თქვენი მეგობრული განწყობილებისა ჩვენდამი ის არის, რომ თქვენ ეთანხმებით ჩვენს პოლიტიკას — აქტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკას. აქტიური ნეიტრალიტეტის არსია ხუთი პრინციპი, რომლებსაც თქვენ შეუერთდით ჩვენს პრემიერ-მინისტრ უ ნუსთან და ინდოეთისა და ჩინეთის პრემიერ-მინისტრებთან ერთად.

— ამ პრინციპებს, — ხაზგასმით აღნიშნა ბა უმ, — გვიკარნახებს არა დროებითი მიზანშეწონილობის მოსაზრებები. ეს პრინციპები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაშია. თუ ამ პრინციპებს დაიცავენ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, ადამიანებს შორის დამყარდება კეთილ ნება და დედამიწაზე დამყარდება მშვიდობა.

თუ ჩვენი გულის სიღრმეში ჩავიხედავთ, დავინახავთ, რომ, როგორიც უნდა იყოს ჩვენი კანის ფერი და სადაც უნდა ვცხოვრობდეთ, ჩვენ გვსურს მშვიდობა და უშიშროება, გვსურს ვიცხოვროთ ჩვენებურად და ისე, როგორც ჩვენს პირობებს ყველაზე მეტად შეესაბამება.

ადამიანთა შორის მშვიდობასა და უშიშროებას რომ მივაღწიოთ, უნდა დამყარდეს ურთიერთგაგება, ხოლო ამისათვის უნდა მოგვარდეს კონტაქტი, განსაკუთრებით სახელმწიფოების ხელმძღვანელთა შორის. სწორედ ამას აკეთებთ ახლა თქვენ თქვენი მოგზაურობით.

ნ. ა. ბულგანინმა წარმოთქვა საპასუხო სადღეგრძელო. მან ჯანმრთელობა უსურვა ბირმის კავშირის პრეზიდენტს, ჯანმრთელობა უსურვა ბირმის პრემიერ-მინისტრს, გამარჯვება უსურვა ბირმისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას.

ამასთან, მიმართა რა პრეზიდენტს, ნ. ა. ბულგანინმა პირადად თავისი სახელით, ნ. ს. ხრუშჩოვის სახელით და მათთან ერთად ჩამოსული მეგობრების სახელით გულითადი მადლობა გამოთქვა მისალმების გულთბილი და მეგობრული სიტყვებისათვის. ჩვენ ძალიან გვასიამოვნა რანგუნის მცხოვრებთა გულთბილმა და გულითადმა მიღებამ, თქვა ნ. ა. ბულგანინმა. ძალიან მოხარული ვართ, რომ შეგვიძლია პირადად გავეცნოთ თქვენს ქვეყანას, მის ცხოვრებასა და ხალხს. ჩვენ, განაგრძო ნ. ა. ბულგანინმა, მიგვაჩნია, რომ ჩვენი ვიზიტი თქვენთან და პირადი კონტაქტის შესაძლებლობა ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას. თქვენ აღნიშნეთ, რომ ჩვენი ურთიერთობა ემყარება ცნობილ ხუთ პრინციპს. მშვიდობიანი თანაარსებობის ამ პრინციპებს ემხრობა სულ უფრო მეტი სახელმწიფო, რომლებიც ესწრაფვიან მშვიდობის განმტკიცებასა და მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებას.

ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობის განმტკიცება და თანამშრომლობის განვითარება, თქვა შემდეგ ნ. ა. ბულგანინმა, სარგებლობას მოუტანს არა მარტო ჩვენს ხალხებს, არამედ მშვიდობასაც როგორც აზიაში, ისე მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა არქიტექტორების მეორე სრულიად საკავშირო [illegible]

სრულიად საკავშირო [illegible]

საბჭოთა არქიტექტორების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობაზე გრძელდებოდა მოხსენებათა განხილვა. 30 ნოემბერს კამათში პირველი გამოვიდა კომის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსი **ლ. ი. ასტაშევი.** მან განაცხადა, რომ რესპუბლიკაში წლითიწლობით დიდდება საბინაო მშენებლობის მოცულობა. საერთო ფართობი საცხოვრებელი სახლებისა, რომლებიც ახლა შენდება ქალაქებში, 100 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს. შენდება აგრეთვე დიდძალი კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამრეწველო შენობები.

ამხ. ასტაშევი შემდეგ ამბობს, რომ საპროექტო ორგანიზაციები, რომლებიც ძირითადად თავმოყრილია მოსკოვსა და ლენინგრადში, ხშირად გვიგზავნიან შენობათა და ნაგებობათა პროექტებს, რომლებიც შემუშავებულია ადგილობრივ თავისებურებათა გაუთვალისწინებლად. არქიტექტურისა და შენებლობის ცენტრალურმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა უფრო მჭიდრო კავშირი უნდა დაამყარონ ადგილობრივ საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებთან და პრაქტიკული დახმარება გაუწიონ მათ.

ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **ვ. ა. კოროლმა** ილაპარაკა, რომ მშენებლობებზე სულ უფრო ფართოდ ინერგება სამუშაოთა ინდუსტრიული მეთოდები. სულ უფრო ფართოდ იყენებენ ეკონომიურ მასალებს.

შემდეგ ორატორი შეეხო ზედმეტობას, რაც დაშვებული აქვთ რესპუბლიკის არქიტექტორებს.

ლიტვის სსრ საბჭოთა არქიტექტორების კავშირის გამგეობის პასუხისმგებელმა მდივანმა **ი. ა. კუმპისმა** განაცხადა, რომ ომისშემდგომ წლებში ლიტვის არქიტექტორებმა და ინჟინერ-მშენებლებმა დიდი მუშაობა გასწიეს რესპუბლიკის ქალაქების აღსადგენად, რომლებიც მტერმა დაანგრია. გვაკლდა კადრები, არ გვქონდა სამშენებლო მრეწველობა, გვაკლდა სატრანსპორტო საშუალებანი, ამბობს ორატორი, მაგრამ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებმა დახმარებით ლიტვის ქალაქები სწრაფად შენდება.

ამხ. კუმპისი აღნიშნავს, რომ ტიპური პროექტები მდარე ხარისხისაა, რის გამო ხშირად შეუძლებელი ხდება მათი გამოყენება.

ყრილობის ბევრი დელეგატი და სტუმარი იყო მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთ რაიონში, სადაც დიდი საბინაო მშენებლობაა. მოსკოვის საბინაო მშენებლობის საქალაქო ტრესტის მმართველმა **მ. გ. ლოკტიუხოვმა** ილაპარაკა იმაზე, რომ ამ რაიონში შენობათა მშენებლობა ნაკადურ-ჩქარონსნული მეთოდით მიმდინარეობს.

ყრილობამ მოისმინა და დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება.

გამოდის უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საბინაო მშენებლობის საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი **ედე ფეკეტე.** იგი უნგრეთის ხუროთმოძღვართა სახელით მხურვალედ მიესალმა მეორე სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატებს.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკულაე ბედესკუმ ძმური სალამი გადასცა საბჭოთა ხუროთმოძღვრებს რუმინეთის არქიტექტორთა სახელით.

დონის როსტოვის მთავარი არქიტექტორი **ი. ა. რეგაინი** აყენებს საკითხს, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე გამსხვილდეს სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციები ყველა დიდ ქალაქში.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე საქალაქო მშენებლობის საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი **მ. ს. შარონოვი** (მოსკოვი), საბჭოთა არქიტექტორების კავშირის ვორონეჟლოვგრადის საოლქო განყოფილების თავმჯდომარე **ვ. ა. შარაპენკო** და სხვები.

1 დეკემბერს ყრილობა მუშაობას განაგრძობდა. დელეგატები განიხილავენ ჩვენი ქვეყნის არქიტექტურისა და მშენებლობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, აკვლევენ საბჭოთა არქიტექტორების კავშირის საქმიანობის, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, საპროექტო ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებებს. ყრილობაზე გამოსულნი ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „დაროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობის აღმოფხვრის შესახებ“. მათ შეაქვთ წინადადებანი, რომელთა მიზანია აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმეში.

1 დეკემბერს დილის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **პ. ს. ნეპოროჟნიმ.** უკრაინის მშენებლებმა, თქვა მან, ომისშემდგომ პერიოდში დიდი მუშაობა განახორციელეს ქალაქებისა და სოფლების აღდგენის საქმეში. ჩვენი მიღწევები გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ხუროთმოძღვრებს რომ არ დაეშვათ სერიოზული შეცდომები. ახლა მიმდინარეობს მშენებლობის პროცესში მყოფ შენობათა პროექტების გადასინჯვა, ზედმეტობის აღმოფხვრა. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ახალ წელს ვაშენოთ საცხოვრებელ სახლები მხოლოდ ტიპური პროექტებით.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდა არქიტექტორთა კავშირის სახელით ყრილობას მხურვალედ მიესალმა არქიტექტორი **ნო სიხი.**

თავიანთ გამოსვლებში ყრილობის ბევრმა დელეგატმა აღნიშნა, რომ ტექნიკურ-ეკონომიურად უდავოდ მიზანშეწონილია მშენებლობა ტიპური პროექტებით, მაგრამ მათი დამუშავება ფერხდება. არქიტექტორმა **ბ. რ. რუბანენკომ** აღნიშნა დიდი ნაკლოვანებანი ამ საქმეში.

ჰიდროტექნიკურ ნაგებობებში დაშვებულ დიდ ზედმეტობებზე ილაპარაკა არქიტექტორმა **რ. ა. იაკუბოვმა.** როგორც მან აღნიშნა, ეს ზედმეტობა დაშვებულია იმიტომ, რომ არ მოწყობილა ახალ ნაგებობათა პროექტების ნამდვილი შემოქმედებითი განხილვა. საბჭოთა არქიტექტორების კავშირი ვერ აღმოჩნდა თავის სიმაღლეზე, იგი მოწყვეტილი იყო ხუროთმოძღვართა და მშენებელთა ძირითად მასას.

სტალინსკის მთავარ არქიტექტორს **ბ. ი. ოტურინს** საჭიროდ მიაჩნია მოწესრიგდეს დაპროექტების სამეშაოთა ორგანიზაცია ინდუსტრიულ ცენტრებში.

— სსრ კავშირის საბჭოთა არქიტექტორების კავშირის გამგეობა ყოველმხრივ უნდა ეხმარებოდეს ადგილობრივ ორგანიზაციებს, — თქვა საქართველოს სსრ საბჭოთა არქიტექტორების კავშირის გამგეობის პასუხისმგებელმა მდივანმა **ი. ნ. ჩხენკელმა.** — მაგრამ ეს დახმარება დღემდე ძირითადად მიწერ-მოწერით ხორციელდება. საჭიროა, რომ კავშირმა პრაქტიკულად შემოიღოს არქიტექტურის თვალსაჩინო ოსტატების შემოქმედებითი მივლინებები რესპუბლიკურ ორგანიზაციებში გამოცდილების გასაზიარებლად.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ათი წლისთავი

მოსკოვის ქალთა აქტივის კრება

30 ნოემბერს მოსკოვში კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა მოსკოვის ქალთა აქტივის კრება, მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ათი წლისთავისადმი.

დარბაზი სადღესასწაულოდ არის მორთული. აქ შეკრებილან ქალები — მუშები, ინჟინრები, ექიმები, პედაგოგები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების წარმომადგენლები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები, მგირი დედები, საბჭოთა კავშირის გმირი ქალები და სოციალისტური შრომის გმირი ქალები.

ქალთა აქტივის კრება გახსნა ე. ა. ფურცევამ.

მოხსენება გააკეთა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის აღმასრულებელ ბიუროს ვიცე-თავმჯდომარემ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატმა ნ. ვ. პოპოვამ.

ამხ. პოპოვა თავის მოხსენებაში ეხება ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ეტაპებს, ფედერაციის როლს მშვიდობისათვის ბრძოლაში, ბავშვთა დასაცავად ფართო საზოგადოებრივი მოძრაობის მოწყობაში, მის ბრძოლას ქალთა უფლებებისათვის, ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

შეკრებილთათვის გაიმართა კონცერტი.

(საკადესი).

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი ქალთა საქალაქო კრება

1 დეკემბერს რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ქალაქ თბილისის ქალთა საქალაქო კრება, რომელიც მიეძღვნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის 10 წლისთავს.

კრებაზე მოვიდნენ მუშა ქალები, ინჟინრები, პედაგოგები, ექიმები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები და სხვ.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ზ. კვაპაძემ.

მოხსენება „ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფესორმა, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის წევრმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. ჯავახიშვილმა.

ნ. ჯავახიშვილმა თავის გამოსვლაში ილაპარაკა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციის თავდადებულ ბრძოლაზე მშვიდობის დასაცავად, ქალთა უფლებებისა და ბავშვთა ბედნიერების დასაცავად.

კრების შემდეგ გაიმართა კონცერტი.

(საქდესი).

მეჯი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები დედაქალაქს

თბილისის გარეუბნის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებში განსაკუთრებით ხაზგასმულია საგარეუბნო კოლმეურნეობების როლი ქალაქების მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის პროდუქტებით მომარაგების საქმეში. თბილისის გარეუბნის რაიონის მშრომელები მთავარ ამოცანად ისახავენ გაადიდონ სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება საქართველოს დედაქალაქის მშრომელების მუდმივად მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, ამასთან პერსპექტიული გეგმის ძირითადი მაჩვენებლები შეასრულონ ვადამდე — 1956-1958 წლებისათვის.

როგორ ასრულებენ გარეუბნის რაიონის მშრომელები ამ ამოცანას — აი, რაზე იყო გამახვილებული ყურადღება როგორც რაიკომის საანგარიშო მოხსენებაში, ისე კონფერენციაზე უმრავლესი ამხანაგების გამოსვლებში.

მომხსენებელმა — რაიკომის მდივანმა ამხ. დ. გელაშვილმა და კამათის მონაწილეებმა ბევრი საგულისხმო ფაქტი მოიყვანეს აღმავლობის გზაზე მდგომი სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგების მდგომარეობის დასასურათებლად. აღინიშნა, რომ გასულ სამეურნეო წელს თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულ იქნა 1.223 კილოგრამი რძე. ეს 223 კილოგრამით მეტია გეგმით გათვალისწინებულზე და 532 კილოგრამით სჯარბობს წინა სამეურნეო წლის მაჩვენებელს. ამ მხრივ კარგად იმუშავეს ორთაჭალის, კუმისის, გლდანის, ნორიოს, ლილოს, დიღმის, ტაბახმელის, წყნეთის და სხვა კოლმეურნეობებმა, აგრეთვე კრწანისის საბჭოთა მეურნეობამ, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს წველადობის გეგმები. აღსანიშნავია, რომ მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გასულ სამეურნეო წელს წინა წელთან შედარებით ერთიოთხად გაიზარდა ძროხების წველადობა, ხოლო ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდგომ განვლილ პერიოდში თვითეული საფურაქე ძროხის წველადობა 1.200 კილოგრამით გაადიდა.

მომხსენებელი და კამათში გამოსული დელეგატები, როცა მეცხოველეობის განვითარების მდგომარეობაზე ლაპარაკობდნენ, ძირითადად ეხებოდნენ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, კერძოდ, ძროხის წველადობის გადიდებისათვის გაწეულ მუშაობას. მაგრამ გაკვრით შეეხენ მეღორეობასა და მეფრინველეობას, რომლებიც კოლმეურნეობებში კვლავ ჩამორჩება. საკმარისია აღინიშნოს, რომ გასულ სამეურნეო წელს 17 კოლმეურნეობიდან მხოლოდ ორმა შეასრულა გოჭების მიღების დავალება, ხოლო კვერცხმდებელ ერთ დედალზე საშუალოდ რაიონში მიღებულია მხოლოდ 28 კვერცხი.

ყველა რეზერვი არ არის გამოყენებული ძროხების წველადობის გაზრდისთვისაც. დიდია ძროხების ბერწიანობის პროცენტი. ნელა ხორციელდება მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, ჯერ კიდევ არასაკმარისია ჯიშიანი პირუტყვის რაოდენობა ძროხის საერთო სულადობაში. მარტყოფის სტალინის სახელობის და გლდანის კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა ვ. სუხიტაშვილმა და გ. ბუაშვილმა გააკრიტიკეს მტს-ების მუშაობა, რომლებიც მეცხოველეობის განვითარებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

სუსტად ინერგება მებოსტნეობაში მექანიზაცია და ბოსტნეულის მოყვანის პროგრესული ხერხები. ეს გავლენას ახდენს ამ ერთ-ერთი წამყვანი დარგის მოსავლიანობაზე. მაგალითად, წელს ბოსტნეული კულტურების კვადრატულ-ბუდობრივად თესვის გეგმა მხოლოდ ავჭალის კოლმეურნეობამ შეასრულა. ამასთან 280 ჰექტარის ნაცვლად რაიონში ამ წესით მხოლოდ 9 ჰექტარი დათესა. სწორედ ეს იყო იმის ერთ-ერთი მიზეზიც, რომ გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ყოველ ჰექტარზე დააკლეს 20 ცენტნერი ბოსტნეული.

წელს რაიონში შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მარცვლეულის რესურსები, რაშიც დიდი როლი შეასრულა ძვირფასმა კულტურამ — სიმინდმა. მაგრამ, როგორც მომხსენებელი და კამათში გამოსულები აღნიშნავდნენ, მიღწეული უფრო მეტი იქნებოდა, დიღმისა და მარტყოფის მტს-ების მიერ მოსავლის აღების გაჭიანურების შედეგად მთელ რიგ კოლმეურნეობებში დიდი დანაკარგები რომ არ ყოფილიყო.

კოლმეურნეობათა ეკონომიკაში ჯერ კიდევ ნაკლები ხვედრითი წონა აქვს ისეთ რენტაბელურ დარგებს, როგორიც არის მევენახეობა და მებაღეობა, რომელთა განვითარებისათვის რაიონში ხელსაყრელი პირობებია. ყურძნისა და ხილის მცირე მოსავლიანობის მიზეზი დაბალ აგროტექნიკაში და მეჩხერიანობის წინააღმდეგ სუსტად ბრძოლაში უნდა ვეძებოთ.

კოლმეურნეობებში ნაკლები ყურადღება ექცევა მეცნიერების უახლესი მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას, რაზეც თავიანთ გამოსვლებში ილაპარაკეს ტახმელის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. ცხომარიამ და მარტყოფის მტს-ის პარტორგანიზაციის მდივანმა ა. კუპრაძემ. კომკავშირის რაიკომის მდივანმა ე. ბადრიძემ აღნიშნა, რომ წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაგზავნილი რამდენიმე ათეული კაციდან არც ერთი არ ყოფილა კომკავშირელი.

რაიონში რამდენიმე სამეცნიერო დაწესებულებაა. მაგრამ ისინი მჭიდრო ურთიერთობაში ჯერ არიან საკოლმეურნეო წარმოებასთან, კარგად არ იცნობენ კოლმეურნეთა საჭიროებებსა და მოთხოვნებს. შეიძლება ესეც იყო იმის მიზეზი, რომ კონფერენციაზე ამ დაწესებულებათა არც ერთი წარმომადგენელი არ გამოსულა სიტყვით.

კონფერენციაზე ბევრი რამ ითქვა მტს-ების მისამართით, რომლებიც ჯერ კიდევ ნელა აწყობენ თავიანთი მუშაობის გარდაქმნას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად. სოფლის მექანიზატორები სუსტად იბრძვიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაციისათვის.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა საერთოდ ცოტა ილაპარაკეს პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დაყენებაზე, მაშინ როცა რაიონში ამ მხრივ სერიოზული ნაკლოვანებებია. პარტიის რაიკომის მდივნები ადგილებზე ნაკლებ პრაქტიკულ დახმარებას უწევენ პარტორგანიზაციებს. ინსტრუქტორთა ჯგუფების მუშაობა მტს-ების ზონებში ხშირად კოლმეურნეობებისა და მტს-ების სამეურნეო საქმიანობისადმი წვრილმანი მეურვეობით ამოიწურება.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. მ. ი. კუჭავამ.

კონფერენციამ რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო და მიიღო სათანადო დადგენილება.

* * *

შედგა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი. პარტიის თბილისის გარეუბნის რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. დ. გელაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. ი. მირიანაშვილი, მდივნად — ამხ. ვ. ზურაბიშვილი, ხოლო რაიკომის მდივნებად დიღმის მტს-ის ზონაში — ამხ. ზ. ჭიჭინაძე, მარტყოფის მტს-ის ზონაში — ამხ. ლ. ბუხრაშვილი და თელეთის მტს-ის ზონაში — ამხ. ბ. სონღულაშვილი.

გ. ზუკაკიშვილი.

ახალი შრომითი წარმატებებით შევხვდეთ პარტიის XX ყრილობას

დაწინაურებულნი

დღითიდღე უფრო მძლავრად ჩაღდება პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება თბილისის კამოს სახელობის სამსხმელო-მექანიკურ ქარხანაში. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავისათვის ქარხნის კოლექტივმა სამშობლოს უპატაკა მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულება. ნოემბერში მოიპოვა კიდევ ერთი ახალი გამარჯვება — თვის დავალება ვადაზე 5 დღით ადრე 120 პროცენტით გაანაღდა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ამწყობი საამქროს კოლექტივი, რომელმაც აითვისა სამმუშტა მასრების სერიული გამოშვება.

საამქროს ბევრი ახალი მუშა შეემატა. სექტემბერში სახელოსნო სასწავლებლიდან საამქროში სამუშაოდ მოვიდნენ კომკავშირელები ამწყობი-ზეინკლები გ. ბახტაძე და გ. მიქაძე, რომლებიც მალე დახელოვნდნენ და ახლა წარმატებით იბრძვიან პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად, ყოველდღიური გამომუშავების ნორმებს 150-200 პროცენტით ანაღდებენ.

სახელოსნო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა შორის გ. ბახტაძე და გ. მიქაძე პირველნი დაეუფლნენ ახალი დეტალის — სამმუშტა მასრის აწყობას. მიღებულ გამოცდილებას ისინი უზიარებენ სხვა ახალგაზრდა მუშებს, ეხმარებიან ვალდებულებათა შესრულებაში.

სურათზე: გ. ბახტაძე (მარცხნივ) და გ. მიქაძე ახალ დეტალს აწყობენ.

ფოტო შ. გოკაძისა.

ფეიქარ-რაციონალიზაციორთა ნვლილი

ახალი რაციონალიზატორული წინადადებით აღნიშნავენ პარტიის XX ყრილობისათვის მზადებას ნოვატორი ფეიქრები. ამ დღეებში თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში წარმატებით მიმდინარეობს რაციონალიზატორული წინადადებების შეგროვების ერთთვიური.

ერთთვიური ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ფეიქრებმა უკვე 18 საყურადღებო წინადადება წამოაყენეს, მაშინ როდესაც წინათ თვეში ოთხ წინადადებაზე მეტი არ შემოდიოდა.

წამოყენებულ წინადადებებს შორის მაღალი შეფასება მიიღო ნ. კვაჭაძისა და დ. ცომაშვილის წინადადებამ, რომლის განხორციელებით ფაბრიკა წლიურად 35.367 მანეთს დაზოგავს. საყურადღებო წინადადებების ავტორები არიან აგრეთვე მ. აგარონიანი, ს. ინდიგოვი და სხვები. მათი წინადადებების განხორციელებით პირობითი წლიური ეკონომიური ეფექტი ათეულ ათასობით მანეთი იქნება.

საწარმოთა ხელმძღვანელები გვწერენ

მზარდი მაჩვენებლები

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის კოლექტივმა წელს მეორე კვარტალში მოპოვებული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის მიიღო საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და მოიპოვა პირველი საკავშირო ფულადი პრემია 225.000 მანეთის რაოდენობით.

უფრო წარმატებით იმუშავა კომბინატის კოლექტივმა მესამე კვარტალში, მტკიცედ დაეუფლა რიტმს, მიაღწია თანდათან მზარდ მაჩვენებლებს. მაგალითად, მეორე კვარტალთან შედარებით მესამე კვარტალში საერთო პროდუქციის გამოშვება გადიდებულ იქნა 6,2 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება 8,3 პროცენტით და ამის შედეგად კომბინატის კოლექტივმა მესამე კვარტალშიც შეინარჩუნა საკავშირო პირველობა, კვლავ მოიპოვა პირველი პრემია 225.000 მანეთის რაოდენობით.

განვლილი 11 თვის მანძილზე გეგმის გადაჭარბებით მივეცით სამშობლოს 14.100 ათასი მანეთის პროდუქცია, 450.000 მეტრი სხვადასხვა სახის აბრეშუმის ქსოვილი, ხოლო პროდუქციის გამოშვების ზრდის, მისი ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესების და თვითღირებულების შემცირების შედეგად მარტო 10 თვეში სამშობლოს 2.400.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მივეცით.

კომბინატის კოლექტივი აღმავლობით მუშაობს მეოთხე კვარტალშიც. ახლა ჩვენ გამუშავები ღონისძიებებს იმისათვის, რომ კარგად მომზადებულნი შევხვდეთ ახალი სამეურნეო წლის დაწყებას, უზრუნველვყოთ წარმოების შემდგომი ზრდის ყველა შემაფერხებელი მიზეზის ლიკვიდაცია, რიტმული მუშაობას შემდგომი განმტკიცება და პარტიის XX ყრილობისათვის ახალი წარმატებების მოპოვება.

ა. მიქელაძე,
ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის დირექტორი.

ზეგეგმითი 1.100 ათასი მანეთი

ქოჩარის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა წყებაში ჩადგა. განსაკუთრებით ისახელა თავი ამ კოლექტივმა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ: ხარისხობრივი ჩაის ფოთლის და ბაიხის ჩაის დამზადების წლიური გეგმა შეასრულა 1 ნოემბრისათვის, ამავე დროისათვის გაანაღდა საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური საწარმოო დავალება, 4 წელიწადსა და 9 თვეში შეასრულა მეხუთე ხუთწლიანი გეგმა.

ფაბრიკამ 1955 წლის 11 თვის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 103 პროცენტით.

წელს ამ ფაბრიკაში შრომის ნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებულზე 3 პროცენტის გადამეტებით გაიზარდა, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება 6,7 პროცენტით შემცირდა. შრომის ნაყოფიერების ზრდაში დიდად შეგვიწყო ხელი მოწინავეთა მუშაობის მეთოდების გავრცელებამ. მაგალითად, ჩვენი ფაბრიკის მუშები ლ. ლებედი, ვ. ჩორნაია, პ. ბელინკინა, პ. ლუგოვი, გ. ქამალიანი, ა. ფიფია გეგმებს სისტემატურად 150 პროცენტით ანაღდებენ. მათი გამოცდილების ყველა მუშისათვის გაზიარებამ ხელი შეგვიწყო შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალების გადაჭარბებით შესრულებაში, ხოლო ეს საფუძველი გახდა დანარჩენი მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის.

ი. გაბისონია,
ქოჩარის ჩაის ფაბრიკის დირექტორი.

სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის

კომკავშირის თბილისის საქალაქო აქტივის კრებაზე

ქალაქ თბილისის ათეულ ათასობით ახალგაზრდას, ისევე როგორც მთელი ჩვენი დიადი ქვეყნის ახალგაზრდებსა და კომკავშირელებს, ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, მაუდ-კამოლის კომბინატის, საელმავლო დეპოს და დედაქალაქის სხვა საწარმოების კომკავშირული ორგანიზაციები ყოველდღიურ აღმზრდელობითს მუშაობას ახალგაზრდობაში უნარიანად ახამებენ კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებთან. ამ საწარმოთა ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა გადაკარბებით ასრულებს სახელმწიფო დავალებებს. ამჟამად ისინი სულ უფრო ფართოდ იჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შესახვედრად.

თბილისის საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ახალგაზრდობა წარმატებით ეუფლება მოწინავე მეცნიერების საფუძვლებს.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით საგრძნობლად გაიუმჯობესეს ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობა, უფრო მჭიდრო კავშირი დაამყარეს სახალხო განათლების ორგანოებთან და მილიციის განყოფილებებთან. კომკავშირის რაიკომებთან და საქალაქო კომიტეტთან მოეწყო კომკავშირული შტაბები, ჩამოყალიბდა მილიციის დამხმარე ბრიგადები, ჩატარდა კომკავშირული ერთთვიური. ამ და სხვა ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ახალგაზრდების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, ხულიგნობისა და სხვა ამორალური ქცევის შემთხვევები.

მაგრამ როგორც ამას წინათ გამართულ თბილისის კომკავშირის აქტივის კრებაზე აღინიშნა, ახალგაზრდობის ერთი ნაწილი არცხვენს საბჭოთა მოქალაქის საამაყო სახელს, ცუდად სწავლობს, გაურბის პატიოსან შრომას.

მომხსენებელმა — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა ვ. ნ. ჯანჯღავამ და კამათში გამოსულებმა ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ახალგაზრდობის რიგებში ჯერ კიდევ არიან ისეთები, რომლებიც ვერ განთავისუფლებულან კაპიტალიზმის მავნე გადმონაშთებისაგან, იმყოფებიან ბურჟუაზიული მორალის მავნე გავლენის ქვეშ, ლოთობენ, ხულიგნობენ, შეურაცხყოფას აყენებენ პატიოსან შრომელ ადამიანებს. ზოგიმისა, რომ მონაწილეობა მიეღო მისი შვილის გამოსწორებაში, შეურაცხყოფა მიაყენა მილიციის მუშაკებს.

მომხსენებელმა მოიყვანა იმის მაგალითები, როცა სკოლის ზოგიერთი დირექტორი და სწორმოს ხელმძღვანელი ახალგაზრდობის წინააღმდეგ იყენებს უკიდურეს ადმინისტრაციულ ზომებს ნაცვლად იმისა, რომ აწარმოოს მათთან სისტემატური აღმზრდელობითი მუშაობა. ისინი იოლი გზით მიდიან და ცდილობენ თავიდან მოიშორონ „გამოუსწორებელი“ ახალგაზრდები.

კამათის მონაწილეებმა გააკრიტიკეს საბალხო განათლების ორგანოები, აღნიშნეს, რომ ისინი სუსტად იბრძვიან ახალი თაობის აღსაზრდელად. განათლების რაიონული განყოფილებები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ ზოგიერთი სასკოლო ასაკის ბავშვი არსად არ სწავლობს.

კომკავშირის კიროვის რაიკომთან არსებული მილიციის დამხმარე რაზმის უფროსმა ნ. მჭედლიძემ ილაპარაკა იმის შესახებ, რომ გაზეთებმა „ახალგაზრდა კომუნისტმა“ და „მოლოდოი სტალინეცმა“ თავიანთ ფურცლებზე მეტი ადგილი უნდა დაუთმონ ახალგაზრდობის სწავლის, შრომისა და აღზრდის საკითხებს, ამ თემაზე ხშირად მოათავსონ გამოცდილი პედაგოგების, მშობლების, მოწინავე მილიციელების წერილები.

აქტივის კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფესორმა გ. ახვლედიანმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ანჯაფარიძემ, საქართველოს აკკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა თ. ჯანელიძემ.

კრების დასასრულ გამოქვეყნებულ იქნა სიათ ამ ახალგაზრდებისა, რომლებიც დაჯილდოებული არიან საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს აკკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ სანიმუშო ყოფაქცევისა, თავდადებული შრომისა, ბეჯითი სწავლისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

კომკავშირის საქალაქო აქტივის კრებამ ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად დასახა სათანადო ღონისძიებანი.

დღეები გუმათჰესის მშენებლობაზე

მოახლოვდა გუმათის კასკადის მეორე ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრეგატის ამუშავების ვადა, რომელიც მშენებლებს მთავრობამ დაუწესა. ახლოვდება აგრეთვე საქართველოს კომუნისტების მორიგი ყრილობის გახსნისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობის დაწყების დღეები. გუმათჰესელმა მშენებლებმა თავიანთი პატრიოტული ღირსების საქმედ აღიარეს დაწესებული ვადისათვის ამუშაონ პირველი ტურბინგენერატორი, მისი სიმძლავრე მაცოცხლებელ ენერგიად შემატონ რესპუბლიკას ენერგეტიკას, ხოლო შემდეგ სულ მოკლე ვადაში ამუშაონ მეორე ტურბინგენერატორიც.

ამ საბრძოლო ამოცანის პირნათლად შესრულებისათვის მთელი ფრონტით უტევენ მშენებლები.

რამდენიმე დღის წინათ პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა ჰიდროელექტროსადგურის ასამუშავებლად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხი. გამოირკვა, რომ იმ ობიექტებზე, რომლებიც მზად უნდა იყოს სადგურის ამუშავების ვადისათვის, ყველა სამუშაოზე ვერ აიღეს სასურველი ტემპი: პარტიულმა ორგანიზაციამ დასახა ღონისძიებანი მდგომარეობის სწრაფად გამოსწორებისათვის და ამ ობიექტებზე მომუშავე კომუნისტებს მათი განუხრელი განხორციელება დაავალა.



გუმათის მეორე ჰესის საგენერატოროს მშენებლობა.

* * *

— კომუნისტები — მოწინავე შრომითს პოზიციებზე! — ასეთია ლოზუნგი, და უნდა ითქვას, რომ მისი განხორციელება უკვე იძლევა შესანიშნავ ნაყოფს: საქმე თვალდათვალ მიიწევს წინ.

27 ნოემბრისათვის მშენებლებს ჩასასხმელი ჰქონდათ 12.000 კუბმეტრამდე ბეტონი ან ნაგებობათა ასაგებად, რომლებიც აუცილებლად მზად უნდა იყოს მეორე ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრეგატის ამუშავებისათვის. ახლა აქ დღეღამეში 600-700 კუბმეტრ ბეტონს ასხამენ.

მშენებელთა ძირითადი, წამყვანი ძალები ასამუშავებელ ობიექტებზე გადაიყვანეს. აქ შრომობენ და ორგანიზებული მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან პირველი საჭენებლო უბნის კოლექტივი, რომელსაც ინჟინერი თ. ქოქოსაძე უდგას სათავეში, მესამე უბნის კოლექტივი ინჟინერ ვ. მაისაშვილის ხელმძღვანელობით. აქ არიან მთელ მშენებლობაზე სახელმოხვეჭილი მშენებლები—ტექნიკოსი ნინო ბალანჩივაძე, ხუროთა მოწინავე ბრიგადა, რომელსაც ვ. ტეხოვი ხელმძღვანელობს, ყველაზე გამოცდილ მებეტონეთა ბრიგადა ო. დიუგაროვის ხელმძღვანელობით, ი. ზიაბკინის სახელმოხვეჭილ მეარმატურეთა ბრიგადა, ზეინკალი კ. ტაბატაძე, ოსტატი ო. ლომიძე, მეარმატურე შ. მელიქიშვილი, ინჟინერი ჯალალიანი, ა. გოგლიჩიძე, ხ. ლომაია, უ. ოქროპელიძე, შ. ბერაია, გ. პროცენკო ამ პატრიოტ კომკავშირელთა მოწინავე რიგებში არიან.

დაძაბული შრომითი დღეებია გუმათჰესის მშენებლობაზე. დრო მეტად მცირე აქვთ მშენებლებს, ზამთარი მათ ვინ უწყის რამდენ შეფერხებას უქადის, და ამიტომ აქ დროის მოგებისათვის ბრძოლა მთელი სიმკაცრით იგრძნობა. მშენებლების წასაშველებლად კოლმეურნეები მოდიან არა მარტო ახლომახლო სოფლებიდან, არამედ შორი სოფლებიდანაც.

მთავარი, გადამწყვეტი უბანი მშენებლობაზე ამჟამად კასკადის მეორე ჰიდროელექტროსადგურის საგენერატორო კვანძია. აქ ჯერ კიდევ ბევრი სამშენებლო სამუშაოა შესასრულებელი, მემონტაჟეებსაც დიდი საქმე აქვთ გასაკეთებელი. მთელი ძალები ამ უბანზე უნდა იქნას გადაყვანილი, არ უნდა შენელდეს შეტევის ტემპი, რათა ჩვენი დიდი პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად საქართველოს კიდით კიდემდე მოეფინოს სასიხარულო ამბავი გუმათის მეორე ჰიდროელექტროსადგურის ამუშავების შესახებ.

დ. ლომთათაძე,
გ. მეფისაშვილი.
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

მესამე საკავშირო პრემია

ბათუმი. (საკ. კორ.). თავდადებით შრომობენ პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბათუმელი გემთშემკეთებლები. ისინი დღითიდღე აძლიერებენ მუშაობის ტემპს, აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს, აფართოებენ ასორტიმენტს.

ამ დღეებში გემთშემკეთებლებმა სასიხარულო ცნობა მიიღეს — მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით ქარხნის კოლექტივი გამარჯვებული გამოვიდა საზღვაო ფლოტის საწარმოებს შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და მესამე საკავშირო პრემია მოიპოვა.

სასიხარულო ამბავმა კოლექტივში ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია. გემთშემკეთებლები, რომლებმაც ათ თვეში სასაქონლო პროდუქციის გამოშვების თერთმეტი თვის დავალება გაანაღდეს, ხოლო 14 ნოემბრისათვის — ნოემბრის საერთო პროდუქციისა, მეტი ენერგიით შეუდგნენ მუშაობას წლიური დავალების ვადამდე განაღდებისა და გეგმის გადამეტებით ერთი საკურორტო ტიპის სამგზავრო თბომავლის გამოშვებისათვის.

დავალებები გადაჭარბებით სრულდება

სოხუმი. (საკ. კორ.). სოხუმის პურის ქარხნის მშენებელთა კოლექტივი პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას. მშენებლებმა გადაჭარბებით გაანაღდეს მიმდინარე წლის თერთმეტი თვის დავალება.

მშენებლობაზე დამთავრდა ბეტონის სამუშაოები, მიმდინარეობს შენობის შიდა შელესვა, იატაკზე დაგებულია ლითონის ფილები მოწყობილობის დასადგმელად, დაიწყო თბოიზოლაციისა და წყალსადენის მონტაჟი.

პროფესიების მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში წინ არიან მლესავები გ. საენკო, ე. ბაბინინი, ვ. დერგაჩევი, რომლებიც დღიურ ნორმებს 140-150 პროცენტით ანაღდებენ. ლითონის ფილების დამგებთაგან კარგი მუშაობით გამოირჩევიან ი. მოზგოვოი და ი. ივანოვი, კალატოზებიდან — ვ. ალვარიანი და ა. გაშენკო, დურგლებიდან — ი. დიშლაუკა, ვ. პალეი.

მშენებლებმა გადაწყვიტეს წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის გაანაღდონ.

„მშვიდობისა და მეგობრობის მგზავრობა“

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა ინდოეთში ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნის შესახებ

ხანოი, 1 დეკემბერი. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული პრესა დიდ ადგილს უთმობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნას ინდოეთში.

გაზეთმა „ნიან დანმა“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ვიზიტი, რომელიც ხელს უწყობს მშვიდობას და ხალხთა მეგობრობას“. ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნა ინდოეთში, წერს გაზეთი, რაც საბჭოთა და ინდოელი ხალხების მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა, კიდევ უფრო განამტკიცებს ინდოეთისა და საბჭოთა ხალხების ნდობას.

გაზეთი აღნიშნავს, რომ მხურვალე სიმპათია, რომლითაც ინდოეთის მთავრობა და ხალხი ხვდება ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს, ცხადყოფს, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპი, რომლებიც ინდოეთმა და ჩინეთმა გამოაცხადეს და რომლებსაც მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირმა, უძლეველ ძალად იქცევა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 1 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი, რომელსაც გ. ა. დენისოვი მეთაურობს, კვლავ ეცნობოდა როსტოკის ოლქს. საბჭოთა სტუმრებმა იმგზავრეს ქალაქ ზასნიცში, სადაც დაათვალიერეს თვეზის კომბინატი. ქალაქის მოსახლეობა და კომბინატის კოლექტივი საბჭოთა დელეგატებს გულთბილად, მეგობრულად შეხვდნენ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს მიესალმნენ ბერგენის რაიონის დეპუტატთა კრების საბჭოს თავმჯდომარე კ. ვაიბერი და საწარმოს დირექტორი ე. ოტენი. საბანაუბო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. ა. დენისოვმა.

შემდეგ დელეგაციის წევრები გაეცნენ კომბინატის საწარმოო წარმატებებს და კოლექტივის ცხოვრებას.

კუნძულ რიუგენზე მოგზაურობისას საბჭოთა დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ცარცის კლდეები ზღვის ნაპირზე.

საღამოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ჩავიდნენ ქალაქ შტრალზუნდში, სადაც მათ გულითადად შეხვდა მოსახლეობა. სტუმრებს მიესალმა ქალაქის ობერ-ბურგომისტრი ე. ჰოლვეგერი.

ბერლინი, 1 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი ზ. ტ. სერდიუკის მეთაურობით ჩავიდა ქალაქ მაგდებურგში და იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ უდიდეს მანქანათმშენებელ საწარმოში — ერნსტ ტელმანის სახელობის ქარხანაში.

ქარხნის საამქროების დათვალიერების შემდეგ, რომლის დროსაც დელეგაციის წევრები ესაუბრნენ მუშებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, ქარხანაში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი.

ქარხნის კოლექტივმა საბჭოთა დელეგატებს გადასცა ადრესი მშრომელთა ვალდებულებებით — ვადამდე შეასრულონ საწარმოო გეგმა. როგორც საბჭოთა ხალხთან მეგობრობის სიმბოლო, საწარმოს კოლექტივმა სტუმრებს მიართვა ერნსტ ტელმანის ბიუსტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. ფ. სინიცინი ეწვია შენებელის სატრაქტორო ქარხანას, გაეცნო მის მუშაობას და მშრომელთა ცხოვრებას.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი დეპუტატი მ. დ. კოვრიგინა ქარხანაში გაეცნო პოლიკლინიკის მუშაობას, სპალავრო ბაღებს და სხვა სოციალურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებს.

საღამოს საბჭოთა დელეგატები იყვნენ მაგდებურგის ოლქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის დამთავრებას. სხდომის 900-ზე მეტი მონაწილე მხურვალედ მიესალმა საბჭოთა სტუმრებს.

გაძლიერებულია საფრანგეთის ეროვნული კრების დათხოვნის შესახებ

პარიზი, 1 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, გუშინ საღამოს საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საფრანგეთის ეროვნული კრების დათხოვნის შესახებ.

ეს გადაწყვეტილება მიღებულია საფრანგეთის კონსტიტუციის 51 მუხლის საფუძველზე, რომელიც უფლებას აძლევს თავრობას მოითხოვოს პარლამენტის ქვედა პალატის დათხოვნა, თუ იგი 18 თვის მანძილზე ორჯერ გამოთქვამს უნდობლობას მთავრობისადმი კონსტიტუციური უმრავლესობით (ე. ი. ყველა დეპუტატის ხმების 50 პროცენტზე მეტით), კონსტიტუციის თანახმად, არაუადრეს 20 დღისა და არაუგვიანეს 30 დღისა ეროვნული კრების დათხოვნის შემდეგ უნდა მოწყოს პარლამენტის ახალი არჩევნები.

ედგარ ფორი რადიკალების და რადიკალ-სოციალისტების პარტიიდან გარიცხეს

პარიზი, 1 დეკემბერი. (საკდესი). მთავრობის გადაწყვეტილებამ ეროვნული კრების დათხოვნის შესახებ მკვეთრად გაამწვავა უთანხმოება რადიკალთა და რადიკალ-სოციალისტთა პარტიაში. ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ რადიკალთა და რადიკალ-სოციალისტთა პარტიის ბიურომ დღეს პრემიერ-მინისტრი ედგარ ფორი პარტიიდან გარიცხა.

ამერიკელი მეატომე მეცნიერის დონალდ ჩარლზის თვითმკვლელობა

ნიუ-იორკი, 30 ნოემბერი. (საკდესი). როგორც იუწიატედ პრესის სააგენტო იუწყება, 26 ნოემბერს ნიუ-იორკის სასტუმრო „ფლანდრესის“ ნომერში თავი მოიკლა ნიჰილერმა ამერიკელმა მეატომე მეცნიერმა, 47 წლის დონალდ ჩარლზმა. ნომერში იპოვნეს შემდეგი ბარათი: „არც სამუშაო, არც სახლი, არც ქონება, არც მახლობელნი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია უნგრეთში

ბუდაპეშტი, 1 დეკემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია გუშინ და დღეს კვლავ ეცნობოდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ცხოვრებას. დელეგაციის წევრებმა ა. ს. ბორისენკომ, ე. პ. გონჩაროვამ, გ. დ. ჯავახიშვილმა, პ. პ. ერმაკოვმა, ა. პ. ჟურავლიოვმა, პ. გ. მოსკატოვმა, ა. ა. მიურისეპმა, ნ. ი. სმირნოვმა და ვ. ნ. ტიტოვმა სახელმწიფო კრების თავმჯდომარის მოადგილის იოკეფ ნადიმტოკისა და უნგრეთის მშრომელთა პარტიის ბუდაპეშტის საქალაქო კომიტეტის მდივნების იოკეფუნე ჩიკესის და ლაიოშ სიუჩის თანხლებით დაათვალიერეს ბუდაპეშტის მანქანა-ტრაქტორთა სადგური.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშაკები გულთბილად შეხვდნენ სტუმრებს. დირექტორმა იოკეფ მატეოვიჩმა უამბო მათ, თუ როგორ მუშაობს მანქანა-ტრაქტორთა სადგური, რომელიც შეიქმნა 1951 წელს. სტუმრებმა დაათვალიერეს სარემონტო სახელოსნო, მანქანების პარკი, ახალშენებანი.

შემდეგ დელეგაციის წევრები წავიდნენ მიჩურინის სახელობის საწარმოო კოოპერატივში, სადაც გაეცნენ მის მეურნეობას, განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს მერძევეობისა და მეღორეობის. ფერმებისადმი. მიჩურინის სახელობის კოოპერატივმა მიმდინარე წელს გაიმარჯვა სრულიად უნგრეთის შეჯიბრებაში ყველაზე დიდი წველადობისათვის (4.401 ლიტრი თითო მეწველ ძროხაზე).

დელეგაციის წევრები გ. ვ. ენიუტინი და ზ. ს. ომაროვა ესტუმრნენ დოროგის ქვანახშირის აუზის მეშახტეებს. დელეგაციის წევრი ლ. ს. მატვეევი ეწვია ბუდაპეშტის ერთ-ერთ სამუალო სკოლას და თავისი მუშაობის გამოცდილება გაუზიარა უნგრელ პედაგოგებს.

დღეს დღისით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ნ. მ. პეგოვის მეთაურობით ოფიციალური ვიზიტი გაუკეთა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს იშტვან დობის და მეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან.

დარბაზობა უნგრეთის სახელმწიფო კრებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის პატივსაცემად

ბუდაპეშტი, 1 დეკემბერი. (საკდესი). უნგრეთის სახელმწიფო კრების პრეზიდიუმმა დღეს პარლამენტის შენობაში დარბაზობა გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის წევრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ნ. მ. პეგოვის მეთაურობით, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მატიას რაკოში, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ანდრაშ ჰეგედიუში, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე იშტვან დობი, სახელმწიფო კრების თავმჯდომარე შანდორ რონაი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ერნე გერე, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, მინისტრები, ბუდაპეშტის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე კალმან პონგრაცი, სამამულო სახალხო ფრონტის, უნგრეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებისა და სხვა მასობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავე მუშაკები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები.

დარბაზობას დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ი. ვ. ანდროპოვი, აგრეთვე მთელი რიგი ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

დარბაზობამ განსაკუთრებული მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე

ნიუ-იორკი, 30 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე განიხილავდნენ კომიტეტების მოხსენებებსა და რეზოლუციების პროექტებს იმ საკითხებზე, რომელთა განხილვა კომიტეტებში დამთავრდა.

კენჭისყრის მოტივებზე მოკლე განცხადებათა შემდეგ გენერალურმა ასამბლეამ 44 ხმით (11 დელეგაციამ თავი შეიკავა) მიიღო რეზოლუცია კორეის საკითხზე, რომელიც პოლიტიკურმა კომიტეტმა წარმოადგინა. ისევე როგორც ამ რეზოლუციისათვის პოლიტიკურ კომიტეტში კენჭისყრისას, თავი შეიკავეს შემდეგი ქვეყნების — ბოლივიის, ბირმის, ბელორუსიის სსრ, ჩილის, ჩეხოსლოვაკიის, ინდოეთის, ინდონეზიის, პოლონეთის, სირიის, უკრაინის სსრ და საბჭოთა კავშირის დელეგაციებმა.

გამოვდა რა კენჭისყრის მოტივებზე, სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა განაცხადა, რომ კორეის საკითხის განხილვამ გენერალური ასამბლეის ამ სესიაზე, ისევე როგორც წარსულ სესიებზე, ვერ გამოიღო და ვერც გამოიღებდა დადებითს შედეგებს. ეს იმით აიხსნება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გარკვეულ სახელმწიფოთა ღონისძიებებით შეიქმნა სრულიად არანორმალური პირობები, რომლებშიც კორეის საკითხს განიხილავენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობის მიუღებლად, იმ რეალური ვითარების გაუთვალისწინებლად, რომელიც კორეასა და შორეული აღმოსავლეთის რაიონში შეიქმნა. ეს არ შეიძლება მივიჩნიოთ ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის მოწესრიგებისადმი სერიოზულ, ობიექტურ და საქმიან მიდგომად.

პოლიტიკურ კომიტეტში, განაგრძო მალიკმა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კორეაში ომის მონაწილე ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს დელეგაციების ღონისძიებათა მიზანი არსებითად კვლავ ის იყო, რომ არ დაეშვათ კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის პრაქტიკულ ღონისძიებათა მიღება, ხელი შეეშალათ დაინტერესებულ სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევისათვის, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ურთიერთობისა და თანამშრომლობის დამყარებისათვის, მხარი დაეჭიროთ სამხრეთ კორეის ხელისუფალთათვის, რომლებიც აშკარად იღაშქრებენ დაზავების შესახებ შეთანხმების წინააღმდეგ და ემზადებიან საომარი მოქმედების განახლებისათვის. სამხრეთ კორეის ხელისუფალთა მოქმედება, რომლის მიზანია დაზავების შესახებ შეთანხმებისათვის ძირის გამოთხრა, აშკარა საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობისათვის ამ რაიონში, რაც უნდა ცდილობდნენ ზოგიერთი სახელმწიფოს წარმომადგენლები ეს მოქმედება დაფარონ მტრული გამოხდომებით კორეა-ჩინეთის მხარის წინააღმდეგ. გენერალური ასამბლეა გვერდს ვერ აუვლის ასეთ მოქმედებას. მან თავისი ავტორიტეტული სიტყვა უნდა თქვას დაზავების შესახებ შეთანხმების დასაცავად და ამით სერიოზულად გაფრთხილოს ის ელემენტები სამხრეთ კორეაში, რომლებიც ისწრაფვიან დაარღვიონ მშვიდობა, რაკი გარედან მხარდაჭერის იმედი აქვთ.

შემდეგ საბჭოთა დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს კორეაში იმ მშვიდობიანი პირობების განმტკიცების ამოცანას, რომლებიც კორეის საკითხის მოწესრიგების აუცილებელ წინამძღვარს წარმოადგენენ. საბჭოთა დელეგაცია მხარს უჭერს განსახილველი რეზოლუციის იმ დებულებებს, რომლებშიც დადასტურებულია, რომ კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმება ზუსტად უნდა იქნას დაცული, და გამოთქმულია მოწოდება განგრძონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია კორეაში მშვიდობიანი მოწესრიგება.

საბჭოთა კავშირი იმ პოზიციაზე დგას, რომ კორეის საკითხის გადაწყვეტა უწინარეს ყოვლისა თვით კორეელი ხალხის საქმეა. დაინტერესებულ სახელმწიფოთა მოვალეობა ის არის, რომ დახმარება გაუწიონ კორეელ ხალხს ამ საქმეში. საბჭოთა კავშირი სავსებით უჭერს მხარს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილ წინადადებებს, რომლებიც ითვალისწინებენ კორეის ეროვნული ერთიანობის აღდგენას სრულიად კორეის ნამდვილად თავისუფალი არჩევნების გზით. ასეთი არჩევნები უნდა განახორციელონ თვით კორეელებმა ნამდვილად მიუკერძოებელი საერთაშორისო ორგანოს მეთვალყურეობით, ისეთ პირობებში, რომლებიც გამორიცხავენ ამომრჩევლებზე რაიმე ზეგავლენას. საჭიროა, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა შეთანხმდნენ იმ ღონისძიებათა მიმზადებასა და განხორციელებაზე, რომლებიც დაკავშირებულია ამ ქვეყნების გაერთიანებასთან. ასეთი შეთანხმების საჭიროების უარყოფა ნიშნავს ცდილობდე კორეის საკითხი გადაწყვიტო ერთ-ერთი მხარის უფლებათა და ინტერესთა ხარჯზე, ცდილობდე თავს მოახვიო მას მეორე მხარის ნება. ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ასეთი გზით არ შეიძლება მოწესრიგდეს კორეის საკითხი.

რეზოლუცია, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ შემოიტანა და პოლიტიკურმა კომიტეტმა გენერალური ასამბლეის განსახილველად წარმოადგინა, აღნიშნა შემდეგ მალიკმა, დუმილით უვლის გვერდს დაინტერესებულ სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევას კორეის საკითხზე და არავითარ კონკრეტულ ღონისძიებას არ ითვალისწინებს ამ საკითხის მოსაწესრიგებლად. რეზოლუციაში ასახული არ არის ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის ურთიერთ სასარგებლო კავშირისა და თანამშრომლობის დამყარებისა და განვითარების ამოცანა, თუმცა სავსებით ცხადია, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს კორეის საკითხის საბოლოო მოწესრიგებისათვის საჭირო წანამძღვრების შექმნის საქმეში.

ამასთან ერთად აღნიშნულ რეზოლუციაში ცდილობენ იმ სახელმწიფოთა ვიწრო ჯგუფის ცალმხრივი პოზიცია, რომლებიც ომს ეწეოდნენ ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ, გასაღოდ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებად“. მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ასეთი ცალმხრივი მოქმედება მხოლოდ აძნელებს კორეის საკითხის მოწესრიგებას.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამო, თქვა დასასრულ მალიკმა, რეზოლუცია მთლიანად არ შეეფერება კორეის საკითხის მოწესრიგების ამოცანას დაინტერესებულ მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. საბჭოთა დელეგაცია არ მოითხოვს, რომ რეზოლუციის პუნქტებს ცალცალკე ეყაროს კენჭი. მაგრამ მას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ პოლიტიკურ კომიტეტში რეზოლუციისათვის კენჭისყრისას მან ხმა მისცა პრეამბულის პირველი აბზაცის წინააღმდეგ და ეგრეთწოდებული „15 სახელმწიფოს მოხსენების“ ხსენების წინააღმდეგ. საბჭოთა დელეგაცია ადასტურებს თავის პოზიციას რეზოლუციის აღნიშნულ დებულებებში. მას მიაჩნია, რომ მიღებულ უნდა იქნას დაუყოვნებლივი პრაქტიკული ღონისძიებანი კორეის საკითხის მოსაწესრიგებლად და ამ მიზნისათვის მოწვეულ უნდა იქნას დაინტერესებულ სახელმწიფოთა კონფერენცია.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ი. ულრიხმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლიტიკური კომიტეტის მიერ შემოტანილი რეზოლუცია დამაკმაყოფილებელი არ არის, თუმცა სავსებით ცხადია, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს კორეის საკითხის საბოლოო მოწესრიგებისათვის საჭირო წანამძღვრების შექმნის საქმეში.

ამასთან ერთად აღნიშნულ რეზოლუციაში ცდილობენ იმ სახელმწიფოთა ვიწრო ჯგუფის ცალმხრივი პოზიცია, რომლებიც ომს ეწეოდნენ ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ, გასაღოდ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებად“. მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ასეთი ცალმხრივი მოქმედება მხოლოდ აძნელებს კორეის საკითხის მოწესრიგებას.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგატებმა კენჭისყრის მოტივებზე გამოსვლისას არსებითად ისევ დაადასტურეს, რომ იმ ქვეყნების პოზიცია, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, კვლავ მიმართულია კორეის საკითხის მოწესრიგების წინააღმდეგ, რამდენადაც იგი გამორიცხავს დაინტერესებულ სახელმწიფოთა შემდგომ მოლაპარაკებს და წინააღმდეგობას უწევს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სამხრეთ კორეას შორის კონტაქტის დამყარებას.

გენერალურმა ასამბლეამ განუხილველად და კენჭისუყრელად დაამტკიცა სხვა კომიტეტების მთელი რიგი მოხსენებანი და პროექტები, აგრეთვე ცნობად მიიღო უშიშროების საბჭოს მოხსენება გასულ წელს მისი მოღვაწეობის შესახებ.

თბილისიდან გაემგზავრა ავსტრიის პარლამენტის დელეგაცია

30 ნოემბერს ავსტრიის პარლამენტის დელეგაცია ფედერალური საბჭოს თავმჯდომარის ა. ფრიშის მეთაურობით თბილისიდან სტალინგრადს გაფრინდა.

აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ავსტრიის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით, დელეგაცია გააცილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარემ მ. მ. ლელაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დ. გ. მამაცაშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ს. ს. როსტიაშვილმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ა. ლ. გუნიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, მინისტრებმა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა, საზოგადოებრივობის წარმომადგენლებმა.

აეროდრომზე მ. მ. ლელაშვილმა და დელეგაციის ხელმძღვანელმა ა. ფრიშმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ბ-ნმა ფრიშმა მადლობა გადაიხადა გულითადი მიღებისათვის, რაც მას და მის თანამგზავრებს მოუწყეს, და თქვა, რომ ავსტრიელი ხალხი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ხალხები, იმუშავებს მთელ მსოფლიოში მშვიდობის გამარჯვების საქმისათვის. (საკდესი).

თბილისიდან გაემგზავრნენ ჩინეთის განათლების მუშაკები

30 ნოემბერს ჩინეთის განათლების მუშაკთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილე ამბ. ჩენ ძენ-გუ, თბილისიდან გაემგზავრა.

საქართველოში ოთხი დღის ყოფნის დროს დელეგაცია გაეცნო ქალაქ თბილისის ღირსშესანიშნაობებს. დელეგაციის წევრები გაეცნენ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის, № 1 სახავშვო ბაღისა და 23-ე საშუალო სკოლის მუშაობას.

ჩინელი სტუმრები დაესწრნენ მუშა-მოსამსახურეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური დათვალიერების კონცერტს და იყვნენ მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში ფ. შილერის პიესის „პრინცესა ტურანდოტის“ დადგმაზე.

23 ნოემბერს სტუმრები გაემგზავრნენ გორში, სადაც დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლი-მუზეუმი, გაეცნენ გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეობის მუშაობას.

დელეგაცია გააცილეს საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა გ. ნ. ჯიბლაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სკოლების განყოფილების გამგემ თ. ვ. ლაშქარაშვილმა, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილეებმა მ. ი. ბურჩულაძემ, ბ. ი. კიზირიამ, თ. ა. ზახაშვილმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პასუხისმგებელმა მუშაკებმა. (საკდესი).

ჯ. ნერუ კალკუტიდან დელს გაემგზავრა

კალკუტა, 1 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯ. ნერუ თვითმფრინავით კალკუტიდან დელს გაფრინდა.

დამთავრდა საქართველოს მრავალდღიანი ველოსიპედი



30 ნოემბერს არახელსაყრელი ამინდი იდგა — თერმომეტრი 5 გრადუს ყინვას აჩვენებდა, ჰქროდა ძლიერი ქარი, თოვდა. ასეთ პირობებში სურამის უღელტეხილზე ველოსიპედის გაგრძელება შეუძლებელი იყო. ამიტომ ქუთაისიდან ხაშურამდე სპორტსმენები ავტომანქანებით გადმოვიდნენ.

ხაშურში თოვლის სიღრმე რამდენიმე სანტიმეტრს აღწევდა, მიდამოები თეთრ სამოსელში იყო გახვეული. თოვლის ზოლი გორს უახლოვდებოდა. უკანასკნელ ეტაპზე სპორტული ასპარეზობა არ შემდგარა. 1 დეკემბერს ველოსიპედისტები თბილისში დაბრუნდნენ.

ამრიგად, მიმდინარე სეზონის ეს რთული სპორტული ღონისძიება დამთავრდა.

რა გვიჩვენა საქართველოს მრავალდღიანმა ველოსიპედისტურ-ველოსიპედისტურ ალმებმა, როგორია მისი შედეგები, რით დამთავრდა ეს საინტერესო ასპარეზობა?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ჩვენი რესპუბლიკის ველოსიპედისტთა მაღალი ნებისყოფა და ამტანობა, კოლექტიურობა და ერთსულოვნება, სწრაფვა გამარჯვებისაკენ.

ეს შეჯიბრება მარტო სპორტული სანახაობა როდი იყო. მის მთავარ მიზანს საუკეთესო ველოსიპედისტთა შერჩევა და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის გუნდის დაკომპლექტება შეადგენდა.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის საქართველოს ველოსიპედისტთა კოლექტივი მომზადებული რომ აღმოჩნდეს, საჭიროა დროულად დაკომპლექტდეს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი, მოეწყოს შეკრება, სისტემატური წვრთნა.

ველოსიპედისტმა 12 დღეს გასტანა. სპორტული ასპარეზობა მოეწყო რვა ეტაპზე. გავლილია ათასამდე კილომეტრი. ველოსიპედისტის მარშრუტი იყო: თბილისი-ხაშური, ქუთაისი-ზუგდიდი, ზუგდიდი-სოხუმი, სოხუმი-ლესელიძე, ლესელიძე-სოხუმი, სოხუმი-სამტრედია, სამტრედია-ქობულეთი, ქობულეთი-ქუთაისი. ზოგიერთი ეტაპის მონაკვეთებზე სისწრაფე მაღალი იყო, მაგრამ საშუალოდ იგი საათში მეორე თანრიგზე დაბალი აღმოჩნდა (32,5 კილომეტრი). ეს შედეგი უთუოდ უკეთესი იქნებოდა, ველოსიპედისტს კარგი ამინდი რომ დამთხვეოდა.

შეჯიბრებაზე კარგად მომზადებული კოლექტივი გამოიყვანა სასპორტო საზოგადოება „დინამომ“, რომლის უპირატესობა სხვა გუნდებთან შედარებით აშკარა იყო. დინამოელი სპორტსმენები სათანადოდ იყვნენ მომზადებული ფიზიკურად და ტექნიკურად, ჰქონდათ მაღალი ხარისხის ინვენტარი, სათადარიგო ნაწილები, მოწყობილობა.

ველოსიპედისტ „დინამოს“ პირველი გუნდის გამარჯვებით დამთავრდა. დრო — 121 საათი, 54 წუთი და 33 წამი. მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა „ლოკომოტივის“ გუნდმა, რომლის რიგებში კარგი მონაცემების მქონე სპორტსმენები არიან. გასული წლის ველოსიპედისტში გამარჯვებული „სპარტაკის“ გუნდი მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

ველოსიპედისტის პირველი ეტაპებიდანვე ცხადი გახდა, რომ გამარჯვებულება მეტწილად დინამოელები იქნებოდნენ. ეს ასეც მოხდა. 8 ეტაპიდან შვიდში გამარჯვება დინამოელებმა მოიპოვეს, ხოლო ერთში — სპარტაკელმა გ. გამჯიაშვილმა. დინამოელებიდან 3 ეტაპზე გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა ვ. ძებნიაურმა, 2 ეტაპზე — კ. შენგელიამ, თითო ეტაპზე პ. ბირიუკოვმა და ა. მასლენიკოვმა.

ყველა ეტაპზე მოპოვებული დროის ჯამით გამარჯვებული აღმოჩნდა „დინამოს“ პირველი გუნდის წარმომადგენელი პ. ბირიუკოვი (30 საათი, 16 წუთი და 21 წამი). მეორე ადგილი დაიკავა ვ. ძებნიაურმა („დინამო“), მესამე — ს. კვინიკაძემ („ლოკომოტივი“).

2 დეკემბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საქართველოს მრავალდღიან ველოსიპედისტურ-ველოსიპედისტურ ალმებულთა დაჯილდოება.

ვ. გაბელია,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

სურათზე: საქართველოს მრავალდღიან ველოსიპედისტურ-ველოსიპედისტურ „დინამოს“ პირველი გუნდი. მარცხნიდან — ვ. ძებნიაური, კ. შენგელია, ა. მასლენიკოვი, ა. თავაძე, ა. კლიმოვი და პ. ბირიუკოვი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

გადასასვლელი მატჩი

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე მოეწყო თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლისა და საქართველოს ჩემპიონის — ქუთაისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდების პირველი გადასასვლელი მატჩი. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 0:0. მეორე შეჯვედრა გაიმართება ქუთაისში. გამარჯვების შემთხვევაში, არმიელ ფეხბურთელები ინარჩუნებენ „ბ“ კლასში ყოფნის უფლებას, წინააღმდეგ, შემთხვევაში მათ ადგილს ქუთაისის „დინამო“ დაიკავებს.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

ლისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი
(მელიქიშვილის ქ. № 10).

ა. წ. 13 დეკემბერს, დღის 1 საათზე დისერტაციებს დაიცავენ:

1. თამარ კირილეს ასულ ნინიძე — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად — თემაზე: **„ხერხემლის არხშიდა სიმსივნეების კლინიკისა და დიაგნოსტიკის საკითხისათვის“.**

2. მიხეილ მიხეილის-ძე მოლოდიოვნიკოვი — ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად — თემაზე: „О производстве хеноподиевого масла в Грузинской ССР“.

ა. წ. 20 დეკემბერს, დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციებს დაიცავენ:

1. მიხეილ ვლადიმერის-ძე ცაბაძე — თემაზე: **„ასკარიდოზის და ანკილოსტომიდოზის მკურნალობა ქინოპოდიუმის ზეთით“.**

2. ალექსანდრე დიმიტრის-ძე როგაძიძე — თემაზე: **„ჩონჩხის მუსკულატურის ტონუსის ცვლილებები ტკივილისა და ბალნეოთერაპევტიკის გავლენით“.**

ა. წ. 27 დეკემბერს დღის 1 საათზე ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად **პეტრე გეოდევანის-ძე ბელგახიანი** დაიცავს დისერტაციას — თემაზე: **„საქართველოს ზოგიერთი გვიმრა, როგორც სამრეწველო ნედლეული, სამკურნალო პრეპარატის მისაღებად“.**

ა. წ. 29 დეკემბერს, დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციებს დაიცავენ:

1. მერი ზაქარიას ასული მაისურაძე — თემაზე: „О роли кортикотропного гормона передней доли гипофиза и коры надпочечников в развитии гипертонической болезни“.

2. ანტონ იოსების-ძე ლომოური — თემაზე: **„მასალები კაპილარების განვლადობის, პლაზმის ცილებისა და ნარჩენი აზოტის მდგომარეობის შესახებ ჰიპერტონიული დაავადების დროს“.**

მსურველთ შეუძლიათ